# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 9 (10303) 4 მარტი 2019 წ. ფასი 60 თეთრი.




მინდა მანდილოსნებს უდიდესი პატივისცემით მივულოცო ქალთა საერთაშორისო დღე. ვუსურვო ბედნიერება, სიხარული, უამრავი წარმატება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ძვირფასო ქალბატონებო, გულითადად გილოცავთ 8 მარტს, თქვენი ცხოვრების თითოეული დღე ყოფილიყოს გაზაფხულივით მშვენიერი.

პატივისცემით,

სახელმწიფო რწმუნებული გურიაში

**ზურაბ ნასარაია**

(დ)



გაზაფხულის ულამაზეს დღეს 8 მარტს გილოცავთ ქალბატონებო!

თქვენი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია, გისურვებთ მაქსიმალურად მოგეხდინოთ შესაძლებლობების რეალიზება ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ლაღი და სიხარულით სავსე დღეები გქონოდეთ მუდამ!

პატივისცემით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

**დავით დარჩია**

(დ)

## გურიაში დემოგრაფიულად რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთზე მძიმე მდგომარეობაა

ალიონი. **„გურიის რეგიონში დემოგრაფიული თვალსაზრისით, ბოლო წლების მონაცემებით, რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთზე უფრო მძიმე მდგომარეობაა. გურია მიგრაციითაც პირველ ადგილზეა საქართველოს რეგიონებს შორის, რაც ძალიან დამაფიქრებელია“,** - ეს სიტყვები დემოგრაფიული საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორ **თამარ ჩიბურდანიძეს** ეკუთვნის, რომელიც მან 28 თებერვალს კოლეჯ „ჰორიზონტში“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ დასკვნით ღონისძიებაზე თქვა.

სტუმარი მიესალმა პროექტის განმახორციელებლებსა და დამსწრე საზოგადოებას და ხაზი გაუსვა ამ პროექტის მნიშვნელობას:

*„შესანიშნავი პროექტია, გილოცავთ, მართლაც დიდი საქმეა გაკეთებული. ისეთ სიტუაციაში, რაც ზემოთ ვთქვი, ეს შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, ხელს შეუწყობს დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე მიგრაციის პროცესის შეჩერებას“.*





მაღაზია «ნეპტუნი» გილოცავთ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს და სადღესასწაულო სუფრისთვის გთავაზობთ საუკეთესო ნატურალურ პროდუქტებს!

მის: ქ. ოზურგეთი, ჭავჭავაძის ქ. №15

(რ)


## სად არის ზღვარი სამართლიანობას და საბოტაჟს შორის



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში მდინარე ბახვისწყალზე ფრანგულმა კომპანიამ **„იმერის ბენტონიტ ჯორჯია“** შპს „ასკანგელ ჯგუფს,“ „ბახვის ჰესი - 3“-ს, საქართველოს სატყეო დეპარტამენტს და სოფელ მთისპირის მოსახლეობას გადასასვლელი ხიდი გადაუკეტა. ამ თემაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს ფრანგული კომპანია „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ წარმომადგენელს სპარტაკ ლავრელაშვილს.

საქმე ისაა, რომ ბერძნული კომ-პანია„ სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანიმ“ 1997 წლის 16 დეკემბერს აუქციონზე შეიძინა მაღაროთა სამმართველოს აქციების 97,7 %. ისინი გახდნენ ერთ-ერთი მძლავრი საწარმოს მფლობელები საქართველოს სინამდვილეში, რომლის პროდუქცია ერთ-ერთი პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში.

მაშინ დიდი იმედით შეხვდა ბერძნული კომპანიის შემოსვლას საწარმოს კოლექტივი და ოზურგეთის მოსახლეობა.

**მანანა ანდღულაძე,** *ყოფილი მაღაროთა სამმართველოს ლაბორატორიის უფროსი:*

—მართალია ბერძენმა ე. წ. „ინვესტორებმა“ ორი ქარხანა შეისყიდეს და მათი საკუთრება იყო, მაგრამ სახელმწიფო სტრუქტურებს არ უნდა მიეცათ მათთვის უმოქმედოდ გაჩერების, ნგრევის და განადგურების უფლება. 20 წლის მანძილზე წლობით იყო გაჩერებული ქარხნები, თუ არ ჩავთლით პირველ ორ წელს. სიძველისა და უმოქმედობის გამო მწყობრიდან გამოვიდა და განადგურდა საკარიერო ტექნიკა. საწარმოში ახალი ტექნიკის შეძენა ან გადაიარაღება არ მომხდარა,საწარმოს განვითარებისთვის არაფერი არ გაკეთებულა. ბუნებრივია ამის ფონზე იზრდებოდა მუშა-მოსამსახურეების უკმაყოფილება, რადგან წლობით გაუცემელი სამადლო


▶▶▶ გვ-4

## გაზეთი „ალიონი" სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;



**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**



*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
tem52@mail.ru
599 373515

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში"
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# შეხვედრა თხილის მოსავლის გადარჩენის პროგრამაზე



გურიის სახელმწიფო რწმუნებული **ზურაბ ნასარაია,** საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის წარმომადგენლებს **გიორგი თოდუას** და ირაკლი მოისწრაფეშვილს შეხვდა.

შეხვედრაზე გაეცნენ თხილის მოსავლის გადარჩენის პროგრამას, რომელშიც სამეგრელოს თხილის მწარმოებელ ფერმერებთან ერთად, წელს გურიის რეგიონის ფერმერებიც ჩაერთვებიან.

*„შეხვედრაზე ვისაუბრეთ თხილის სექტორში არსებულ ვითარებაზე, სახელმწიფო პროგრამასა და დაგეგმილ ღონისძიებებზე. „თხილის დაცვის" პროგრამაში უნდა მოხდეს მოსახლეობის ჩართვა, რაც ხელს შეუწყობს წარმოებული თხილის ხარისხის გაუმჯობესებას და შესაბამისად გაიზრდება ადგილობრივების შემოსავლებიც. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს და ასოციაციის მონაწილეობით, შემუშავებულია კომპლექსური ღონისძიებების გეგმა, რომელიც მეთხილე ფერმერებს საშუალებას მისცემს მავნებლის და სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ დროულად ჩაატარონ შესაბამისი სამუშაოები და თავიდან აიცილონ თხილის მოსავლის დაზიანება და ზარალი"* - განაცხადა **ზურაბ ნასარაიამ.**

საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის თხილის მოსავლის გადარჩენის პროგრამის განხორციელებაში ჩართულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „აგროჯორჯია", **USAID** - და სხვები.

შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლები და რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

# როგორ ვითარდება ტურიზმი გურიაში



**ალიონი.** 27 თებერვალს კოლეჯ „ჰორიზონტში" ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის-თვის" დასკვნითი ღონისძიება გაიმართა.

შეხვედრას რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია,საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ოზუ-რგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე, პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა საპატიო სტუ-მრები დაესწრნენ. სტუმრებმა სოფელ შემოქმედში ვახუშტი მენაბდის მარანი მოინახულეს, დააგემოვნეს ტრადიციული გურული კერძები და ადგილობრივი წარმოების ღვინო. კოლეჯ „ჰორიზონტში" გაიმართა პროექტის ფარგლებში შექმნილი ფილმის ჩვენება. წარმოდგენილი იყო გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, გურიის ღირსშესანიშნაობათა კატალოგი,ონლაინ აპლიკაცია,პროექტის ფარგლებში შექმნილი ფოტო და ვიდეო მასალა.

გურიაში ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე და პროექტის წარმატებებზე გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაიამ** ისაუბრა.–„ეს არის უპრეცედენტო და მასშტაბური პროექტი,რომელიც სამხარეო ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტების, მოქალაქეებისა და პარტნიორი ორგანიზაციების: ინოვაციებისა და საზოგადოებრივი განვითარების ცენტრ „პროგრესის სახლთან" და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან თანამშრომლობით მონაწილეობითი მიდგომით განხორციელდა. გამოყენებული იყო **CHARRETTE**-ის ინსტრუმენტი, რომელიც გულისხმობდა ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით გურიაში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შექმნას. "

„სტრატეგია სრულად ეფყარება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ პოტენციალს. შემუშავდა კონკრეტული ინიციატივები (პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 35 პროექტი), რომელიც ხელს შეუწყობს გურიის ტურისტული პოტენციალის ზრდას."–განაცხადა პროექტის დირექტორმა **ნანა თავდუმაძემ.**

–„პროექტი სამი წლის მანძილზე მიმდინარეობდა და მისი მიზანი იყო ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, მოქალაქეების და ტურისტული სფეროთი დაინტერესებული აქტორების ერთობლივი ძალისხმევით, გურიაში ტურიზმის მდგრადი და ყოვლისმომცველი განვითარების ხელშეწყობა. მასში მონაწილეობა მიიღო გურიის სამივე მუნიციპალიტეტმა (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური). შეიქმნა ხელისუფლებისა და საზოგადოების თანამშრომლობით კონკრეტული ამოცანების წარმატებულად გადაწყვეტის პრეცედენტი,"- აღნიშნა პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, **კონსტანტინე შარაშენიძემ.**

პროექტი „რა ყოფილა გურია" ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

# 1 მარტიდან ამოქმედდა სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ახალი რეგლამენტი

1 მარტიდან საქართველოში მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ახალი რეგლამენტი ამოქმედდა.

რას ნიშნავს „სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ახალი რეგლამენტი"?

რა დასახელების არის ესა თუ ის პროდუქტი, როგორია მისი შემადგენლობა და თვისებები, როდემდე გრძელდება მისი ვარგისიანობის ვადა, წარმოების ან დამზადების რა მეთოდით არის ის მიღებული, რომელია მისი წარმოების ქვეყანა ან ადგილი? - ახალი ტექნიკური რეგლამენტი ამ კრიტერიუმებს პირველი მარტიდან დაარეგულირებს. ცვლილება ეხება როგორც ეტიკეტზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის დადგენილებით, მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ტექნიკური რეგლამენტი 2018 წლის 1 სექტემბრიდან უნდა ამოქმედებულიყო. თუმცა ბიზნესსექტორის მოთხოვნითა და ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაციით, ახალი რეგულაციის ამოქმედების ვადამ 6 თვით გადაიწია. ამასობაში საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებით ტექნიკური რეგლამენტის პირვანდელ ვერსიაში გარკვეული ცვლილებებიც შეიტანეს.

**რას ითვალისწინებს ახალი ტექნიკური რეგლამენტი?**

მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ტექნიკურ რეგლამენტს ევროკავშირთან სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება გვავალდებულებს. ახალი რეგულაციის მიხედვით, ამა თუ იმ პროდუქტის ეტიკეტზე დასატანი სავალდებულო ინფორმაციის ჩამონათვალი იზრდება. ეს მონაცემები უნდა იყოს ზუსტი, მკაფიო და მომხმარებლისათვის ადვილად გასაგები.

სურსათის ეტიკეტზე წარმოდგენილი ინფორმაცია სავალდებულოა ქართულენოვანი იყოს, თუმცა დამატებით შესაძლებელია ევროკავშირის ერთ ან რამდენიმე ენაზე მონაცემების განთავსებაც.

სურსათში გამოყენებული ინგრედიენტების ჩამონათვალს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სათაური, „შემადგენლობა", იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც პროდუქტი მხოლოდ ერთ ინგრედიენტს შეიცავს. ამა თუ იმ პროდუქტის ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ ელემენტებს: სურსათის დასახელებას, რომელიც უნდა იყოს კონკრეტული და პროდუქტის ნამდვილ ბუნებაზე მიუთითებდეს; ჩამონათვალი უნდა იწყებოდეს იმ ინგრედიენტით, რომელსაც ყველაზე დიდი მასა აქვს მოცემულ პროდუქტში, დანარჩენი ინგრედიენტები კი მასის კლების მიხედვით უნდა მიეთითოს. ახალი რეგულაციის მიხედვით, ინგრედიენტების ჩამონათვალის მითითება არ არის სავალდებულო ახალი ხილისა და ბოსტნეულისთვის, რომელიც არ არის გათლილი, დაჭრილი ან მსგავსად დამუშავებული. ეს წესი არ ეხება გაზირებულ სასმელსაც, თუ მის სათაურში მითითებულია, რომ ის ნახშირორჟანგით არის გაჯერებული.

ახალი ტექნიკური რეგლამენტი ეტიკეტზე შრიფტის ზომასთან დაკავშირებულ მოთხოვნებსაც ითვალისწინებს. მაგალითად, ალერგიის ან მომეტებული მგრძნობელობის გამომწვევი ზოგიერთი ნივთიერების ან პროდუქტის გამოყენების შემთხვევაში, ეს ინგრედიენტი ჩამონათვალში შრიფტით, ფონით, სტილით ან ფერით უნდა გამოირჩეოდეს.

სურსათის შენახვის ვადის ნაცვლად, მკვიდრდება ახალი ტერმინები: „ვარგისიანობის მინიმალური ვადა", „გამოიყენება მდე ვადა" და სურსათის „გაყინვის თარიღი";

განისაზღვრება სურსათის ნეტოს (სურსათის წონა შეფუთვის გარეშე) ეტიკეტზე მითითების ვალდებულება. მნიშვნელოვანი კომპონენტია სურსათის გარე შეფუთვაც. ამ შემთხვევაში პროდუქტის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია უნდა განთავსდეს გამოსაჩენ ადგილზე გარკვევით შესრულებული და შეუძლებელი უნდა იყოს მისი წაშლა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამა თუ იმ პროდუქტზე წარმოდგენილი ინფორმაციის განთავსებასა და მის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ბიზნესოპერატორი, მათ შორის იმპორტიორი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ახალი ტექნიკური რეგლამენტით, სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას მომხმარებელთა ჯანმრთელ-ობისა და ინტერესების სრული დაცვაა აუცილებელი. ეს,თავის მხრივ, ამ ყველარდა ამისა, ახალი ტექნიკური რეგლამენტი არეგულირებს სურსათის რეკლამირებასა და დისტანციურ რეალიზაციას (ინტერნეტგაყიდვებს).

**– რას ამბობს ბიზნესსექტორი?**

– ბიზნესომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, რომ ბიზნესი მზად არის ახალ რეგულაციებს მოერგოს და ღიაა თანამშრომლობისთვის. ახალი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულმა ცვლილებებმა თავდაპირველად რამდენიმე პრობლემური საკითხი წამოწია წინა პლანზე.

განსაკუთრებით აქტუალური იყო უკვე დაბეჭდილი ეტიკეტების წარმოდგენილ სტანდარტებთან შეუსაბამობა, რაც ბიზნესსექტორს სერიოზულ ზარალს მიაყენებდა. მათ ასევე სჭირდებოდათ დრო, იმპორტიორებთან მოსალაპარაკებლად, რათა პროდუქცია ახალი რეგულაციის სრული დაცვით შემოსულიყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მწარმოებლებმა და დისტრიბუტორებმა ბიზნესომბუდსმენს დახმარებისთვის მიმართეს, რის შემდეგად ის პროცესში ჩაერთო და საქართველოს მთავრობასა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა, ახალი ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების ვადა 2019 წლის 1 სექტემბრამდე გაგრძელებულიყო. ქვეყნის ხელისუფლებამ მიმართვა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და რეგლამენტის ამოქმედების ვადა 6 თვით, 2019 წლის 1 მარტამდე გადაწია. გადავადების მიუხედავად კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით არის კითხვები, რომლებიც, ბიზნესსექტორის აზრით, დაზუსტებასა და სტანდარტიზაციას საჭიროებს. მათ სურთ, ჰქონდეთ ცხადი წარმოდგენა, რას ითხოვს ბიზნესისგან რეგულაცია, ამ ეტაპისთვის სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და ბიზნესსექტორს შორის დაზუ-სტებისა და სტანდარტიზაციის მიზნით, შეხვედრები მთელი საქართველოს მასშტაბით გრძელდებოდა. მხარეები განიხილდნენ იმ მუხ-ლებს, რომლებიც ბიზნესსექტორის წევრებს ორაზროვნად მიაჩნდათ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 1 მარტიდან იქნება 6-თვიანი გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც ბიზნესსექტორი ძველი მარაგიდან დარჩენილი ეტიკეტების გამოყენებას შეძლებს. თავის მხრივ ბიზნესომბუდსმენის აპარატი მზად არის, განაგრძოს აქტიური მონაწილეობა მიმდინარე პროცესში, რათა ახალი ტექნიკური რეგლამენტი ბიზნესის დაჯარიმების ინსტრუმენტი არ გახდეს.

**რა სანქციები ემუქრებათ ბიზნესოპერატორებს?**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 741-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სურსათის ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორი დაჯარიმდება 200 ლარით, სხვა ბიზნესოპერატორი - 400 ლარით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში, 600- ლარიანი ჯარიმით დაისჯება. გარდა ამისა, ამავე კანონის (741-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები) შესაბამისად, მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ბიზნესოპერატორი დაჯარიმდება 200 ლარით, სხვა ბიზნესოპერატორი - 400 ლარით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში - 600 ლარით.

**–რას ამბობენ მომხმარებლები?**

– ინფორმირებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას მომხმარებლები დადებითად აფასებენ. მოქალაქეთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აქვთ სრული უფლება იცოდნენ რას შეიცავს ესა თუ ის პროდუქტი, რამდენად შეესაბამება მისი შემადგენლობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას, როდის, სად და როგორ დამზადდა. უვნებელი სურსათის აუცილებლობაზე ექიმებიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ.

**imedi. news**

# გაზაფხული შემოსულა, ლენ! – ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ!

გაზაფხული პირველ დღეებს ითვლის. დედისა და ქალთა დღეები მოგვადგომია კარს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი გაზეთის საშუალებით გიამბოთ ხუთ, ერთმანეთისგან განსხვავებულ ქალბატონზე, განსხვავებულებზე ცხოვრების წესით და მისწრაფებებით.

ამბების თხრობას **მაგული გორდელაძით** დავიწყებთ. შე-



უდარებელი დიასახლისი, სტუმარ-თმოყვარე მასპინძელიაო,- გვიყვებიან მასზე. თავად ამბობს: ,,სტუმრის პატივისცემა, ღირსეულად დახვედრა ჩვენი ოჯახის ტრადიციაა, ასე ყოფილა ყოველთვის, ჩემს აქ მოსვლამდეც.."

ქალბატონი მაგული ქობულეთში დაბადებულა და გაზრდილა. ოზურგეთში 1979 წელს, გამოთხოვილა. მას შემდეგ უვლის და აშენებს ლიხაურის ცენტრში მდებარე კარ-მიდამოს. ეტყობა კიდეც აქაურობას მზრუნველი დიასახლისის ხელი. ინტერვიუზე მისულები მწვანეში ჩაფლულ ოთახში შეგვიპატიჟა და სათითაოდ გაგვაცნო სახლის ბინადარი ყვავილები. ,,მამაჩემი მეტყევე იყო, ძალიან უყვარდა ყვავილები. ჩემი მცენარეებისადმი სიყვარულიც ალბათ აქედან მოდის. სულ ვუვლიდი ყვავილებს. იყო პერიოდი, როცა ბავშვები პატარები მყავდა და მათ მოვლას ვერ ვახერხებდი. როცა შვილები წამოიზარდნენ და მიხვდნენ, რომ ყვავილი არ უნდა დააზიანო. დავიწყე მოშენება. ყვავილები მომწონს, უფრო სწორად, მიყვარს ძალიან. ვეფერები კიდეც,ველაპარაკები. კარგ ხასიათზე ვარ თუ ცუდზე, ყველაფერს ვუყვები. ძალიან მგრძნობიარენი *არიან, თითქოს ესმით ყველაფერი*".

***- რა რჩევას მისცემთ მათ, ვინც, ახლა იწყებს ყვავილების მოშენებას?***

-ძალიან უნდა გიყვარდეთ ყვავილები. ბევრი მთხოვს და ვაძლევ ნერგებს, მაგრამ ხშირად უთქვამთ, ჩემთან არ გაიხარაო. თუ ყურა-დღებით არ იქნები, თვეში ერთხელ დაუსხამ წყალს, კარგ ადგილს არ მიუჩენ, მაშინვე იგრძნობენ. ზოგს მზიანი ადგილი უყვარს, ზოგს ჩრდილიანი, ყველას თავისებური მიდგომა უნდა.

***- ამბობთ, მოვლის თავისი წესი აქვს ყველასო. როგორ ისწავლეთ, რომელ ყვავილს რა სჭირდება?***

—ჩემით ვისწავლე, წლების გამოცდილებამ, დაკვირვებამ მასწავლა.

ჩვენი რესპონდენტი ყველას ურჩევს, ახარონ ყვავილები, მოუარონ და მიიღონ მათგან დადებითი ენერგია. ,,იმიტომ, რომ ძალიან ლამაზია და ბევრ სითბოს გადმოგვცემს. როცა მარტო ვარ სახლში. ამათთან ერთად ვატარებ თავისუფალ დროს. მათგანაც ვღებულობ და მეც ვაძლევ მათ სითბოს", -გვეუბნება ის.

ქალბატონი მაგულის იმ სირთულეებზეც გვესაუბრა, რომლის წინაშეც თანამედროვე ქალი დგას.

**მაგული გორდელაძე:** ,,ძალიან რთული პერიოდია ქალებისთვის, მაგრამ, ჩვენ ისეთი ჭკვიანი და კარგი ქალები გვყავს, ყველგან შეუძლიათ თავის დამკვიდრება, მუშაობა, ხელმძღვანელობაც. უბრალოდ, საკმარისი დრო და შესაბამისი ხასიათი არ აქვთ. იმაზე ფიქრის დროც არ რჩება, რომ ოჯახის საქმეების გარდა, სხვა სამუშაოც შეასრულოს. ცდილობს, ოჯახში იყოს, რამე არ მიაკლოს ქმარ-შვილს. თავისი კარიერისთვის ვერ იცლის. ამიტომაა ბევრი ქალი არარეალიზებული. ოჯახი დიდ დროს მოითხოვს. ბავშვებზე ფიქრი, ჩაცმა, ჭამა, ძალიან ბევრი ოჯახი იმაზეც კი ფოქრობს, ხვალ რა ჭამოს, ამიტომ თვითრეალიზებისთვის დრო აღარ რჩება. ზოგი ისეთი ჭკვიანი ქალია სახლში ჩამჯდარი, რომ დაგენანება, მაგრამ რა ჰქნას? სხვა გზა არ აქვს."

დღეს თვითონაც დიასახლისია, მაგრამ, როგორც გვითხრა, წლების წინ ქობულეთის სოციალურ სამსახურში ინსპექტორად მუშაობდა. მაშინ დაოჯახებული არ იყო. ახლა ორი შვილის დედა და ხუთი შვილიშვილის ბებიაა. სიხარულით ამბობს, რომ მისი ქალიშვილი მრავალშვილიანი დედაა, ხუთ პატარას ზრდის.

ქალბატონი მაგული ქალებს გვირჩევს, მეტად ყურადღებიანები ვიყოთ საკუთარი თავისადმი, მეტი დრო დავუთმოთ საკუთარ ,,მეს".

**ნინო ლომჯარია** მრავალშვილიანი დედაა. 30 წლის იყო, როცა, პირველი შვილი გააჩინა.



უფროსი უკვე 13 წლისაა, ყველაზე პატარა - 1,9 წლის.

ვკითხეთ, როგორია იყო მრავალშვილიანი დედა? ,,ეს ბედნიერებაა" გვპასუხობს ის. იმ სირთულეებზეც გვესაუბრება, რაც ოთხი შვილის დედობას ახლავს. ,,ძალიან რთულია. რამდენადაც დიდი სიმდიდრეა, იმდენად დიდი პასუხისმგებლობა ახლავს",- გვეუბნება ნინო.

***- მაინც რა სირთულეებს გულისხმობთ?***

— პირველ რიგში, ეკონომიკურ მხარეს ვგულისხმობ. მოსახლეობის დიდ ნაწილს დღეს ამ მხრივ პრობლემები აქვს. ამიტომ სახელმწიფოსგან მრავალშვილიან ოჯახებს უფრო მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს.

ნინო ფიქრობს, რომ დედობას, შვილების სიყვარულს ყველანაირი სირთულის დაძლევა შეუძლია. ,,ბევრი ფიქრობს იმ სირთულეებზე, რაც დღეს არსებობს. მაგრამ მაინც გააჩინონ ბევრი შვილი, რადგან ღმერთი არასდროს გვტოვებს მარტო. ყოველთვის გამოგვინახავს გზას, რომ ღირსეულად აღვზარდოთ ჩვენი შვილები", — ამბობს ის.

ნინოსთვის მრავალშვილიანობას ხელი არ შეუშლია რეალიზებული იყოს თავის პროფესიაში. სამსახურშიც ბავშვების გარემოცვაშია. 2012 წლიდან საბავშვო ბაღში მუშაობს. მუსიკის პედაგოგია. ამბობს, რომ ეს ოჯახის წევრების დახმარების და საბავშვო ბაღის დამსახურებაა.

უყვარს გაზაფხულის დღესასწაულები. ,,შვილები საჩუქრად მიძღვნიან რაც შეუძლიათ. მოსალოც ბარათებს, თავიანთი ხელით გაკეთებულ საჩუქრებს. ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება თუ კარგად ისწავლიან, კარგი ქცევები ექნებათ. როგორც დედა, ყველაზე ბედნიერი ამით ვიქნები",- გვეუბნება ნინო.

**ნანული ორაგველიძე** მეცნიერი, ორი მოწვევის საკრებულოს დეპუტატია. ამბობს, რომ



პირადად მას გენდერული ნიშნით არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია. ,,მე როგორც ქალს კარიერულ წინსვლაში ხელი არ შემშლია",- გვეუბნება ის. წუხს, რომ ბოლო დროს ხშირად ესმის ქალზე ძალადობის შესახებ. ,,არ ვიცი, ადრე ასე ხშირად ძალადობა არ ხდებოდა თუ ინფორმაცია არ გვქონდა ამაზე. ბოლოს ქალზე ძალადობის ფაქტებს უფრო ხშირად ვხვდებით. ვერ წარმომედგინა, რომ საქართველოში ამდენი ქალზე მოძალადე შეიძლებოდა ყოფილიყო"

ნანული ორაგველიძემ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ანასეულის ინსტიტუტის დირექტორი იყო. სწორედ მან მიიწვია ინსტიტუტში სამუშაოდ. ასპირანტურის გავლისა და სადოქტორო დისერტაციის დაცვის წლებში პარალელურად სხვადასხვა ქვეყნების ინსტიტუტებშიც მუშაობდა. ქუთაისის ინსტიტუტის დამთავრებიდან 2011 წლამდე ანასეულის ინსტიტუტში მუშაობდა.

**ნანული ორაგველიძე:** 2011 წელს საკაშვილი-ბენდუქიძის პოლიტიკის შედეგად საერთოდ დაიხურა აგრარული დარგის ინსტიტუტები. თანამშრომლები, მეცნიერები ქუჩაში დარჩნენ. ანასეულის ინსტიტუტში დარჩა 15-მდე მეცნიერი. დაიხურა წამყვანი ლაბორატორიები, განყოფილებები მათ შორის ერთის ხელმძღვანელი მე ვიყავი. ამ მიზეზით სამი წელი ვიყავი უმუშევარი.

მისი თქმით, სამსახურიდან გათავისუფლება გახდა ბიძგი პოლიტიკაზე ეფიქრა.

—მე მეცნიერება მაინტერესებდა. პოლიტიკა არ იყო ჩემი ინტერესის სფერო მაგრამ მოხდა ისე, რომ სამი წელი, გათავისუფლების შემდეგ, ანასეულში უხელფასოდ ვმუშაობდი. ვერ წარმომედგინა თუ შეიძლებოდა სხვაგან მუშაობა. მეცნიერება ისეთი სფეროა, თუ ერთხელ შეხვედი, კარგად ერკვევი, მართლა მუშაობ და გაქვს შედეგები, ძალიან საინტერესოა. ხდება საკუთარი ინტერესების და შეხედულებების დაკმაყოფილება, ერთგვარი აზარტია. რაც უფრო სიღრმეში შედიხარ, უფრო და უფრო საინტერესოა. ამიტომ გათავისუფლების შემდეგ ჩვეულებრივად დავდიოდი ინსტიტუტში. ვფიქრობდი, რომ რაღაცა შეიცვლებოდა. გათავისუფლებული თანამშრომლები წერილებს ვწერდით პრეზიდენტს, პარლამენტს, სოფლის მეურნეობის და განათლების მინისტრებს მაგრამ არანაირი შედეგი. ვფიქრობდით, რომ ,,ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა მაგრამ ასე არ მოხდა.

***—სამსახურიდან განთავისუფლება გახდა დეპუტატობაზე ფიქრის მი-ზეზი?***

—დიახ. მანამდე პოლიტიკისთვის დრო არც მქონდა. როცა საკრებულოს წევრად მოვედი, ვფიქრობდი, რომ მეცნიერებს და მათ თანამოაზრეებს ჰყოლოდათ წარმომადგენელი საკრებულოში. ვფიქრობდი, რომ აქედან რაღაც დახმარებას შევძლებდი. მეცნიერებმა კოლექტიური წერილი შემოიტანეს საკრებულოში, შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, ჩამოვაყალიბეთ ოცგვერდიანი რეკომენდაცია. ეს რეკომენდაცია საკრებულოს სახელით გაიგზავნა მთავრობის სხვადასხვა დონეზე, მაგრამ აბსოლუტურად უყურადღებოდ დატოვეს. ეს ისეთი საკითხია, ერთი ინსტიტუტის დონეზე ვერ გადაწყდება პრობლემა ცენტრალიზებულად უნდა მოგვარდეს.

**—როგორ ფიქრობთ, სწორი გად-აწყვეტილება მიიღეთ პოლიტიკაში შესვლით?**

— აქაც ვცდილობ, ჩემი მონდომებით რაღაცა შევძინო ადამიანებს. მაგრამ ძალიან გული მწყდება, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ის შესაძლებლობა, რაც აუცილებელია. თვითმმართველობა არ არის შესაბამის დონეზე. დეცენტრალიზაცია თითქოს დაიწყო, მაგრამ თვითმმართველობას მეტი უფლებები და მოვალეობები უნდა ჰქონდეს.

ჩვენი რესპონდენტი წუხს რომ ქვეყანაში მეცნიერება ვერ ვითარდება. ,,ქვეყანაში მეცნიერება თითქმის არ არსებობს, განადგურებულია სამეცნიერო დაწესებულებები, ვერ განვითარდება აგრარული დარგი განათლების და მეცნიერების გარეშე. აგრარული დარგი ცუდ მდგომარეობაშია იმიტომ, რომ მეცნიერები ქუჩაში გაუშვეს, ისეთი სპეციალისტები, სხვა ქვეყნებში სანთლით რომ ეძებენ და მათ შრომას და გამოცდილებას გამოიყენებდნენ".

ჩვენი მკითხველისთვის კარგად ცნობილი პედაგოგი და დეპუტატი **ლალი სიჭინავა** გვიყვება: ,,ერთ მშვენიერ დღეს კოლხი ასული აღმოვჩნდი გურიაში... სრულიად უც-



ხო გარემოში... თითქოს ეს ჩვეულებრივი ამბავია - ქალის ხვედრი, ახალი ოჯახი... მოშორებით ახლობლებისგან, სადაც არავინ გიცნობს... და იწყებ თვითდამკვიდრებას... ყოველთვის შემეძლო საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება. ამიტომ, ვფიქრობ, ეს უფრო ძლიერი ქალის უნარზეა დამოკიდებული, ვიდრე იმაზე, უნდა თუ არა მისი შეზღუდვა ვინმეს. 29 წელია აქ ვარ... და სულ ხალხის სამსახურში, როგორც რძალი, მეზობელი, მეგობარი, მასწავლებელი, სკოლის დირექტორი, ორი მოწვევის საკრებულოს წევრი... ჩემთვის კარიერული ზრდისთვის არასდროს შეუშლია ხელი იმას, რომ ქალი ვარ, ქალი ფიზიკურად შეიძლება არც ისე ძლიერია, როგორც მამაკაცი, მაგრამ რაც შეეხება ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ან სხვა რესურსებს, არც ერთი ქალი არაა მამაკაცზე ნაკლები. შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, განვითარებაზე ზრუნვა, სიახლეებისკენ სწრაფვა, საკუთარი თავის რწმენა, მოთმინება, მოსმენა, ობიექტურობა, მებრძოლი სული - ეს ის უნარებია, რომელიც მეხმარება ვიყო ის, ვინც ვარ".

***- თქვენი აზრით დაცულია თუ არა ქალთა უფლებები ჩვენს ქვეყანაში?***

—მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 2006 წლიდან არსებობს კანონი ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალა-დობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ", ძალადობა ჯერ კიდევ არ აღიქმება, როგორც სერიოზული სოციალური პრობლემა. ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპი, რომ ეს საკითხი ფართო მასების განხ-ილვისთვის არ არის განკუთვნილი.

ქალები და გოგონები, მოზარდები, მოხუცები, რომლებიც ძალადობას განიცდიან, ამაზე ღიად ვერ ლაპარაკობენ. ეს ყველაფერი ტრადიციულ სტერეოტიპებში არის მოქცეული. თუმცა პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ ბოლო წლის მანძილზე საქართველოში ოჯახში ძალადობის შედეგად არაერთი ქალი დაიღუპა. საკითხზე რეაგირებას აძნელებს ის, რომ ის შეეხება ყველაზე ფაქიზ სფეროს — ოჯახს და ადამიანურ ურთიერთობებს.

**—და თქვენ, როგორც პოლიტიკოსი... რატომ გადაწყვიტეთ პოლიტ-იკაში წასვლა, ხომ არ ნანობთ ამ გადაწყვეტილებას?**

—კარგად ვიცნობ სოფელს და ჩემს თანასოფლელებს. ვიცი მათი პრობლემები. ბევრჯერ მოუმართავთ დახმარებისთვის, რჩევისთვის. ვგრძნობდი მათ სიყვარულს, ნდობას... მოსწონდათ ჩემი გაკეთებული საქმეები სოფელში, სამეზობლოში, სამეგობროში, სკოლაში, ჩემი დამოკიდებულება საქმისადმი. ხშირად აღნიშნავდნენ ამას, ვგრძნობდი როგორ ვჭირდებოდი მათ. არ არის მარტივი მასწავლებლობა, დირექტორობა... მე ვგრძნობდი ჩემს სიძლიერეს, მივხვდი მეტის გაკეთება შემეძლო სოფლისთვის. პოლიტიკაში ხომ მთავარი გონება, ხასიათი, ძლიერება, სიმტკიცე და წინდახედული მოქმედებაა საჭირო, ქალები კი კარგი ინტუიციით გამოირჩევიან. პოლიტიკა ახალი გამოწვევა იყო ჩემთვის, მაგრამ არ შევუშინდი.. არ ვნანობ ჩემს გადაწყვეტილებას... მე ვარ მათი ხმა საკრებულოში... ბევრი რამ შევძლი სოფლისთვის გამეკეთებია, თუმცა კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მე ჩემი ხალხი არასდროს მომიტყუებია, მათთან ურთიერთობა ჩემთვის ბედნიერებაა, მმატებენ ძალას... რა დროს სინანულია, არჩევანი მეორედაც ჩემზე გააკეთეს მათ იმედს ვერ გავუცრუებ, მაქსიმალურად დავიხარჯები..

**რუსუდან ცეცხლაძე** (შრომის საჯარო სკოლის დირექტორი): ჩემს მეხსიერებაში 8 მარტი ყოველთვის სასიამოვნო მოგონებებს აცოცხლებს... ჯერ კიდევ პატარა გოგონას უზომოდ მიხაროდა, როცა სოფლის განაპირას გაზაფხულის მახარობლებს დავკრეფდი, კონად შევკრავდი და ჩემს საყვარელ დედას მივართმევდი, მასწავლებლებისათვის კი ყოველთვის მიყვარდა სარვამარტოდ წიგნების ჩუქება. სტუდენტიც არ ვღალატობდი ამ ჩვეულებას და გულს ვუხარებდი, თუნდაც მცირედი, საჩუქრით ხშირად ღირსასხსოვარი წიგნებით იმ პედაგოგ ქალბატონებს, ვინც დიდი ხანია, ზეციური



სასუფევლის მკვიდრი არიან. ყოველთვის მიყვარდა ამ ლამაზი დღის აღნიშვნა, ასეა დღესაც. მინდა წლევანდელი დღესასწაულიც დასამახსოვრებელი, ემოციებით სავსე იყოს. კოლექტივთან ერთად გადავწყვიტე ურეკში, რესტორან „მონტე კარ-ლოში" მოვაწყო კორპორატიული შეხვედრა, პროგრამაც დაიწერა და საინტერესო სიურპრიზებიც მოფიქრებული გვაქვს.

***—თქვენი აზრით, არის თუ არა საქართველოში დაცული გენდერული თანასწორობა?***

— საქართველოში ქალი ყოველთვის მამაკაცისგან განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდა. ძლიერი სქესი ქალში ხედავდა არა მხოლოდ სიცოცხლის საწყისს, არამედ მასზე არანაკლებ დიდ ძალას, რომელიც ასხივებდა სიკეთეს, გამბედაობას, მზრუნველობას... ისტორიამ შემოგვინახა ჩვენი წინაპარი ქალების გმირული საქმეების ბევრი თვალსაჩინო მაგალითი, რომელიც მოსწავლეებს ხშირად უნდა შევახსენოთ და დავარწმუნოთ იმაში, რომ პატიოსნება და ღირსეული არსებობა დღევანდელი ქართველი ქალის ცხოვრების საზრისად უნდა იქცეს.

ჩემთვის მისაბაძი არიან ის ქართველი ქალბატონები, რომლებიც ცდილობენ, მამაკაცებს ტოლი არ დაუდონ საკუთარი შესაძლებლობებითა და რესურსებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და წარმატებას აღწევენ კიდეც. დღეს უკვე თანაბრად წარმოჩნდებიან ქალიც და მამაკაციც. ისინი ფა-ქტიურად თანაბრად ინაწილებენ როლებს, ფუნქციებს... ოჯახშიც და სამსახურში მამაკაცები აღიარებენ ქალების გონიერებას, ნიჭს, პრაქტიკულობასა და მომავლის ჭვრეტის გასაოცარ უნარს. უკუკავშირს კი ბევრი სასიკეთო მოაქვს იმ სოციუმისთვის, სადაც ისინი ტრიალებენ.

***—წარმატების მისაღწევად ქალს მამაკაცზე მეტი ძალისხმევა ხომ არ სჭირდება?***

— ვფიქრობ, ნიჭიერსა და წარმატებულ ქალს ბევრ მამაკაცზე მეტი შეუძლია, რადგან აქვს შინაგანი სიძლიერე და შესაბამისად, მოტივაციაც, რომ წარმატების მისაღწევად ზოგჯერ პირადული გვერდზე გადადოს და საზოგადოებრივს მიუძღვნას თავი, ანუ მთელი თავისი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის გამოიყენოს თითქმის ყველა შესაძლებლობა, რომ გახდეს წარმატებული და მისაბაძიც ერთადერთი რამ, რაც ქართველ ქალს აბრკოლებს წარმატების მისაღწევ გზაზე შესადგომად, ეს შვილია ან შვილებია. მათ გაზრდასა და აღზრდაშიც დედა აქტიურად უნდა მონაწილეობდეს, მეტიც, მუდმივად ფხიზლობდეს... არის შემთხვევები, როცა წარმატების მისაღწევად უჭირთ ქალებს დროის განაწილება ოჯახსა და სამსახურს შორის. ამ მხრივ მამაკაცი უფრო თავისუფალია.

მოამზადა
**მარი კოძოევმა**

# სად არის ზღვარი სამართლიანობას და საბოტაჟს შორის

აქციები, გაფიცვები, შიმშილობა.

შედეგი? ბერძნულმა კომპანიამ მაღაროთა სამართველოს 720-კაციანი კოლექტივი ჯერ 120 კაცზე დაიყვანა, ხოლო შემდეგ განუსაზღვრელი ვადით უფასო შვებულებაში გაუშვა.

**–რა რეაქცია ჰქონდათ მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნებზე ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას?**

–ოზურგეთში ჩამოვიდა გარემოს დაცვის მინისტრი. შეიქმნა სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის კომისია, რომელმაც 2004 წლის 21 მაისის აქტით გამოავლინა, რომ ბენტონიტური თიხის მოპოვების სალიცენზიო პირობა შესრულებული არ არის..

ბენძნულმა კომპანიამ კარგად იცოდა ციხისუბნის კარიერზე არსებული მდგომარეობა და შეიმუშავეს საბადოს დამუშავების ახალი პროექტი. მათ ასევე მეწყერის მდგომარეობის შესწავლის მიზნით მოიწვიეს სპეციალისტები თბილისიდან, მაგრამ მათ არ გაითვალისწინეს და არ შეასრულეს ფირმა „**ჯეენექს**“-ის დასკვნები და რეკომენდაციები, პირიქით ახალი მეწყერსაშიშროება შეიქმნა კარიერის ტერიტორიაზე.

წლების განმავლობაში უმოქმედობის გამო ჩამოშლილი და ჩამორეცხილია მოქმედი მუშა საფეხურები; დანაგვიანებულია სამუშაო მოედნები გაჯირგვებული თიხოვანი და ფუჭი ქანების სახით.

**–ქალბატონო მანანა, რა იყო ბერძნული კომპანიის მიზანი?**

–მხოლოდ ფაქტებით ვისაუბროთ. უკანონო გარიგება დღევანდელი საბოტაჟის მიზეზი გახდა. როგორ ვერ შეძლეს მათ 20 წლის განმავლობაში სტაბილური და სერიოზული მომხმარებლის პოვნა, როცა ამ ხნის მანძილზე საბერძნეთში, კუნძულ მილოსზე არსებული მათი კუთვნილი ანალოგიური საწარმოს გაყიდვები 600 ათასი ტონა პროდუქციიდან 1 200 ათას ტონამდე გაიზარდა. გამოდის, რომ კომპანიის მიზანი იყო არა ოზურგეთის საწარმოს განვითარება, არამედ მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიის მიზნით შპს „ასკანას“ სიმძლავრეების ეტაპობრივი განადგურება და კონკრეტული საწარმოს ბლოკირება, რაც ნამდვილად კარგად გამოუვიდათ.უფრო მეტიც, მათ ახალი მანქანა-დანადგარები დაჭრეს და ჯართში ჩააბარეს. როგორიცაა ძვირადღირებული, მძიმეწონიანი ელექტროექსკავატორი, ავტომანქანა „ბელაზები“ და კიდევ სხვა ტექნიკა. **ეს იყო ქვეყნის მიმართ განხორციელებული ეკონომიკური დივერსია.**

**– რა არ გააკეთა სახელმწიფომ?**

–ბერძნულ ფირმას სახელმწიფო ბიუჯეტში 20 წლის განმავლობაში რეალურად ჯარიმების გარდა არაფერი არ შეუტანია. 20 წლის განმავლობაში შპს „ასკანას“ მოგება არ ჰქონია. ე.ი. ფირმას არ გადაუხდია არც ერთი თეთრი ბიუჯეტში მოგების გადასახადის სახით. ნაკისრი ვალდებულებიდან ფირმას 30-40 % რომ ემუშავა, ქვეყნის ბიუჯეტში 2-3 მილიონი ლარი მაინც შევიდოდა...

**– რას აპროტესტებთ ამჟამად?**

–იცით,რომ შეიქმნა კომპანია „ასკანგელ ალიანსი“, რომელსაც თიხის გადამამუშავებელი საწარმო გააჩნია სოფ. გალმა დვაბზუში და ვანისქედის კარიერიდან მოპოვებულ თიხას ამუშავებს. დასაქმდა 120 კაცი.

2017 წლის ბოლოს ბერძნულს კომპანიას სოფელ მთისპირში წიაღისეულის მოპოვების ვადა დაუმთავრდა და სახელმწიფომ ციხისუბნის კარიერში თიხის მოპოვების ლიცენზია „ასკანგელ ჯგუფს“ გადასცა.

მაგრამ, „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანი“ ფრანგულ კომპანიას „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ მიყიდა. მან კი ჯერ შპს „ასკანას“საწარმოს ეზო ჩაკეტა და გამაფრთხილებელი აბრა გამოაკრა „კერძო საკუთრება.“ რამდენიმე თვის წინ კი ციხისუბნის კარიერის მისასვლელთან, მდინარე ბახვისწყალზე, რკინა-ბეტონის ხიდის წინ ხიდის წინ ბეტონის ფილები დააწყო და გზა გადაკეტა.

**–ციხისუბნის კარიერის ლიცენზია ამჟამად ხომ „ასკანგელ ჯგუფს“ აქვს გადაცემული?**

– კი, ასეა, მაგრამ არის ერთი კურიოზი. თავის დროზე სახელმწიფომ „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანს“ მდინარე ბახვისწყალზე არსებული **ხიდიც** გადასცა. ამჟამად ეს კომპანია ახალმა ფრანგულმა კომპანია „იმერისმა“ ჩაანაცვლა ახლა კი, ისინი ამ ბერკეტს კარგად იყენებენ, რომ ციხისუბნის კარიერის ამუშავებას ხელი შეუშალონ.

**– ჩვენი ინფორმაციით, ხიდზე მოძრაობის ჩაკეტვის მიზეზი მისი ავარიული მდგომარეობაა..**

–ვინ „პატრონობდა“ ხიდს 20 წლის განმავლობაში? ვის ეკისრება ამაზე პასუხისმგებლობა? არა მარტო „ასკანგელ ჯგუფი,“ პრობლემა აქვს „ბახვი ჰესი“-ს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ანძებს, რომელთაგან ერთ-ერთის ძირში (კვიჩილაური) მეწყერი დაიძრა და შესაძლოა ანძა წაიქცეს. გზა გადაკეტილია. გადაადგილების პრობლემა აქვთ სატყეო დეპარტამენტის რეინჯერებსაც. ასეთივე მდგომარეობაშია სოფლის მოსახლეობის ნაწილი, რომლებსაც თხილის პლანტაციები და საყანე ფართობები აქვთ მდინარის გაღმა ტერიტორიაზე.

მოკლედ, 20 წლის მანძილზე ხომ დააქციეს აქაურობა, ახლა ადგილობრივ მეწარმეებს არ აძლევენ საშუალებას, რომ მეწყერსაწინააღმდეგო სამუშაოები ჩაატარონ, კარიერი აამუშაონ და **დამატებით კიდევ 200 კაცი დაასაქმონ.**

იმედი გვაქვს, ადგილობრივი, სამხარეო და ცენტრალური ხელისუფლება დაინტერესდება ამ თემით. მით უმეტეს, საწარმოების ამუშავება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მათი პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

**სპარტაკ ლავრელაშვილი**, *ფრანგული კომპანია „იმერის ბენტონით ჯორჯიას“ წარმომადგენელი:*

– ბერძნული კომპანია „სილვერ ენდ ბარაიტ მაინინგ კომპანი“ შარშან გაიყიდა და ფრანგულმა კომპანიამ „იმერისმა“ შეიძინა. „იმერისს“ მსოფლიოს 54 ქვეყანაში აქვს წარმომადგენლობა და მის საწაროებში 14 ათასი ადამიანია დასაქმებული.

**–კუნძულ მილოსის საბადოც გადაეცა?**

–არა მარტო მილოსის, მათი სხვა საბადოები, ქარხნები მსოფლიოს 26 ქვეყანაში „იმერისის“ საკუთრება გახდა.

**– ჩვენ, ამ შემთხვევაში მდინარე ბახვისწყალზე არსებული რკინა ბეტონის ხიდზე ვისაუბროთ?**

–ეს ხიდი გასული საუკუნის 60-იან წლებში აიგო (ადგილზე ჩამოისხა მონოლითები) და იგი იმ დროისათვის არსებულ ყველაზე მძიმე ტექნიკაზე – ტანკის გატარებაზე იყო გათვლილი, დაახლოებით 50 ტონაზე. მდინარე ბახვის წყალი მთის მდინარეა და მოვარდნები იცის, ამიტომაა ხიდის სიმაღლე 12 მეტრი. 2012-2013 წლებში მოხდა ხიდის მისადგომების ჩამორეცხვა და 850 კუბური მეტრი მიწა ჩაიტანა მდინარეში. თავად ნახავდით, რა მდგომარეობაშია ამჟამად ხიდის მისასვლელი. გზა 1,5 მეტრითაა დაშორებული ხიდს.

როგორ უნდა მოვქცეულიყავით. თუკი ხიდზე უბედური შემთხვევა იქნებოდა, პასუხი ხიდის მეპატრონეებს მოეკითხებათ. ამიტომ, უსაფრთხოების მიზნით, ჯერ წერილობით გავაფრთხილეთ- კონკრეტული კომპანია, ხოლო შემდეგ გადავკეტეთ ხიდის მისასვლელი.

მიუხედავად ამისა, აიღეს ბეტონის ბლოკები და მძიმეწონიანი ტრანსპორტით დაიწყეს თიხების გადმოზიდვა.ამიტომ **ხიდზე გასასვლელი დღეს** (1 მარტს ჩავიწერეთ ეს კომენტარი) **მთლიანად ჩავკეტეთ.** ხიდზე გადაადგილება მხოლოდ ფეხით მოსიარულეებს შეეძლებათ. ჩვენ გვაქვს სამი გეოლოგიური ორგანიზაციის, მათ შორის უცხოური ორგანიზაციის დასკვნა, რომ ხიდზე მოძრაობა სახიფათია, ამიტომ მივიღეთ ეს ზომები.



**– ვინ უნდა მოახდინოს ხიდის რეაბილიტაცია?**

– **მე, კომპანიას მეკუთნის ხიდი –როგორც ნაგებობა.** ჩვენ ამჟამად არ გვაქვს ციხისფერდის კარიერის აუთვისებელი ნაწილის ლიცენზია, ამიტომ ამ ეტაპზე, ახალი ლიცენზიის მიღებამდე, ხიდის ექსპლოატაცია არ არის ჩვენს ინტერესში. ჩვენ შევასრულეთ ის სამუშაოები, რაც ლიცენზიის პირო-ბებში იყო გათვალისწინებული. როცა „ასკანგელ ჯგუფს“ სახელმწიფომ ლიცენზია გადასცა, იქ ტვირთის გადმოზიდვის პირობებიც უნდა ყოფილიყო განსაზღვრული. ჩვენ ამ თემაზე დაგვიკავშირდა ოზურგეთის მერი კონსტანტინე შარაშენიძე. გვთხოვა, რომ გვემუშავა ამ თემაზე, შევხდი გურიის გუბერნატორ ზურაბ ნასარაიასაც, მაგრამ ამის შემდეგი შეხვედრა არ შემდგარა.

ჩვენ მზად ვარ ვითანამშრომლოთ სახელმწიფო სტრუქტურებთან.

**– ბერძნული კომპანიის ყოფილი ქარხნის ტერიტორიაზე უფასო შვებულებაში მყოფ 120 თანამშრომელს შესვლა ეკრძალებათ?**

–2017 წლის დეკემბერში „სილვერ ენდ ბარაიტ მაინინგ კომპანს“ სალიცენზიო ვადა დაუმთავრდა. 2018 წლის მაისში უფასო შვებულებაში მყოფ თანამშრომლებს ორი თვის კომპენსაცია გადავუხადეთ და დღეს ისინი ჩვენს თანამშრომლებად არ ითვლებიან. ამჟამად „იმერისის“ წარმომადგენლობა ოზურგეთში 5 კაცისაგან შედგება.

**თემურ ჯახვა,** *შპს „გზამშენი 18“-ის უფროსი:* ამჟამად დაპროექტების სტადიაშია ასკანა-მთისპირის 18 კილომეტრი გზის მშენებლობა, რომელიც სავარაუდოდ მომდევნო წელს განხორციელდება, რის შემდეგაც მთისპირის ცენტრიდან ასკანის ციხეზე მისასვლელი გზის მშენებლობა უნდა მოხდეს, რომ ტურისტები ასკანის ციხემდე გადაადგილდნენ. ბუნებრივია დადგება მდინარე ბახვისწყალზე მდებარე 50 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის ხიდის რეაბილიტაციის საკითხიც, რასაც სახელმწიფო ვერ დააფინანსებს, თუკი ის კერძო მფლობელობაში იქნება. ამ თემის მოგვარება ხელისუფლების გადასაწყვეტია.

გაზეთი „ალიონი“ მდინარე ბახვისწყალზე ხიდის გადაკეტვის თემაზე გურიის გუბერნატორს ზურაბ ნასარაიას დაუკავშირდა. გუბერნატორმა დაადასტურა „იმერის კომპანი ჯორჯიას“ წარმომადგენლებთან შეხვედრის შესახებ.

–მდინარე ბახვისწყალზე არსებული ხიდით სარგებლობდა როგორც ბერძნული კომპანია, ისე ადგილობრივი მოსახლეობა, სატყეო დეპარტამენტის თანამშრომლები, მაღალი ელექროგადამცემი ანძების სპეციალისტები. ჩვენ მაქსიმალურად ვართ დაინტერესებული ამ თემით და დეტალურად შევისწავლით საკითხს.

მიგვაჩნია, რომ ხიდის ამჟამინდელმა მფლობელებმა, ფრანგულმა კომპანიამ დროულად მოაგვარონ ხიდთან დაკავშირებული პრობლემა, ან ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გადასცეს. ჩვენ მზად ვართ მათ წარმომადგენლებთან კვლავ შეხვედრისათვის, საჭიროების შემთხვევაში სხვა სტრუქტურების ჩართვაში.

ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ რეგიონში როგორც ბიზნესის, ისე ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

**ნუგზარ ასათიანი**

# ბითუმად გარე მოვაჭრეები, თავიანთი სატრანსპორტო საშუალებებით, კლდიაშვილის ქუჩაზე განლაგდებიან



**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთში ბითუმად გარე მოვაჭრეები, თავიანთი სატრანსპორტო საშუალებებითა და დახლებით, კლდიაშვილის ქუჩაზე გელა ლიპარტელიანის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე განლაგდებიან.

ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ გას-ული კვირის ხუთშაბათს, 28 თებერვალს ექსლუზიური ინფორმაცია მიაწოდა პარკი-რების საკითხებში საკმაო გამოცდილების მქონე პიროვნებამ, **ბიძინა კვაჭანტირაძემ.**

კვაჭანტირაძის თქმით, ქალაქის მერიასთან შეთანხმებული პროექტის განხორციელებით, განიტვირთება ქალაქი და გარევაჭრობაც ცივილიზებულ სახეს მიიღებს:

*„ქალაქის მერიამ ნება დამრთო, განმეხორციელებინა ეს მეტად საჭირო პროექტი, რითაც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვნად განიტვირთება ჩვენი ქალაქი და გარე ვაჭრობაც ცივილიზებულ სახეს მიიღებს. მოვაჭრეებს, საწყის ეტაპზე ინფრასტრუქტურის სრულყოფილად მოწყობამდე და საადაპტაციო პერიოდის გავლამდე, გადასახდელი არაფერი ექნებათ, შემდეგ კი ერთი გარე მოვაჭრის დღიური გადასახდელი 1-დან 5 ლარამდე იქნება. რასაკვირველია, შესაბამის ანაზღაურებას მიიღებს კერძო მესაკუთრე გელა ლი-პარტელიანი, ვის კუთვნილ ტერიტორიაზეც უკვე ნაწილობრივ განლაგებულია გარე ვაჭრობა. როგორც ხედავთ, დღეს მათ აქ ახალსახლობა აქვთ“,* – გვითხრა ადგილზე მისულებს ბიძინა კვაჭანტირაძემ.

მილოცვა

ოზურგეთის კოლორიტს,

ბატონ **ოლეგ**

**გობრონიძეს** საუკეთესო

სურვილებით 70 წლის

იუბილეს ვულოცავთ

„ალიონელები“

## სტუმარი

# ოქროს მასწავლებელი

## რესპოდენტი „ალიონის“ ჟურნალისტს ოქროს ქორწილში ეპატიჟება

**რუბრიკის დღევანდელ სტუმარს, ქალაქ ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლის მასწავლებელს, ქალბატონ იზო სიხარულიძეს მკითხველთან განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. არ შევუდგებით მისი რეგალიების ჩამოთვლას, უბრალოდ, მთელი სერიოზულობით გეტყვით: თუ გინდათ, რომ თქვენმა შვილმა სკოლა მედალზე დაამთავროს, ქალბატონი იზოს კლასში შეიყვანეთ.**



**— ქალბატონო იზო, მარტის მობრძანებას და ქალთა დღესასწაულებს გილოცავთ! უნდა მითხრათ, რამდენი წელია ასწავლით, აბა, ასაკს ხომ არ გკითხავთ.**

— რა პრობლემაა, 68 წლის ვარ და აქედან 45 წელია სკოლაში ვმუშაობ.

**— ერთსა და იმავე სკოლაში?**

— დიახ, ერთსა და იმავეში. სხვათა შორის, მქონდა ძალიან მიმზიდველი შემოთავაზებები, ახალგაზრდობაში მეპატიჟებოდნენ სკოლის დირექტორად, მაგრამ უარი ვთქვი. მე არ შემიძლია ვცვალო კოლეგები, ადამიანები, ვისთ-ანაც აწყობილი მაქვს ურთიერთობები. სავარძელსა და ფუფუნებას — თუ დირექტორობა ფუფუნებაა,— მეგობრული ურთიერთობები, ადამიანური რესურსი ვამჯობინე, რომელიც უფრო მათბობს, ყოველდღიურ ცხოვრებას მიხალისებს. რა ვიცი, ასე მოვედი აქამდე საკმაოდ დიდი წრიალით და, ალბათ, ბოლომდე ასე დავიხარჯები.

**— ბოლომდე დახარჯვამდე განვლილზე არანაკლებ საინტერესო და შ-ორი გზაა. რომელი უმაღლესი სას-წა-ვლებლის დიპლომს ფლობს იზო სიხარულიძე?**

— ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი დავამთავრე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით.

**— საბედნიეროდ, ჩვენს სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ბევრი კარგი მასწავლებელია, ოღონდ შედეგები აქვთ განსხვავებული. გასულ სასწავლო წელს უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა, თქვენი სადამრიგებლო კლასის თერ-თმეტმა მოსწავლემ ოქროს მედალი დაიმსახურა. რა გაქვთ ასეთი თქვენს პედაგოგიურ არსენალში, რა-ზეც თქვენი კოლეგებიც კი საუბრობენ?**

— ბატონო თემურ, საერთოდ, ძალიან მიყვარს ბავშვები. ყოველთვის იმ ასაკისა ვარ, რა ასაკისაც ისინი არიან, მეხუთე კლასში მოვიდნენ, მეხუთე-კლასელი ვიყავი მათთვის, მეთორმეტე კლასში იყვნენ და მეთო-რმეტეკლასელი ვიყავი. ღრმად ვწვდები მათ ხასიათებს, მისწრაფებებს, რა უხარიათ, რა სწყინთ. შემეძლო, მათთან გატარებული 45 წუთი მექცია ერთ საუკეთესო ზნეობრივ გაკვეთილად, შეიძლება, საგაკვეთილო მასალიდან ამოსულიყო ისეთი საკითხი, რომელიც ძალიან სჭირდებოდა ამ ბავშვებს. გამოვტყდები და ვიტყვი, ბევრჯერ დამი-რღვევია ტრადიციული გაკვეთილის ჩარჩო, ალბათ, სულის ზრდისათვის. ჩემთვის მთავარი იყო, ესენი ჩამომეყალიბებინა ისეთ ადამიანებად, როგორებიც თვითონ იხილეთ ადრე და რამდენიმე დღის წინათაც, როცა მედლებით დაჯილდოვდნენ.

**— მანამდემდე თუ გყოლიათ მედა-ლოსნები?**

— სხვათა შორის, ესენი იყვნენ პირველი მედალოსნები. საქმე ისაა, რომ რატომღაც სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული ყოფილიყო მედალი, როგ-ორც ჯილდო. თენეიშვილის, ცეცხლაძისა და დუმბაძის შემდეგ ჩვენს სკოლას მედალოსანი არ ჰყოლია, უფ-რო სწორად ჰყავდა, მაგრამ რატომღაც გადადეს ეს საქმე. მედალს ჰქონდა ფასი, იმიტომ, რომ მედალოსნები ერთი საგნის ჩაბარებით ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებ-ლებში. მერე ეს ჯილდო, რომელიც ასევე ძალიან ღი-რებული იყო სკოლისთვის, საერთოდ ამოიღეს. ექვსიშვიდი წელია, რაც დაბრუნდა ეს ტრადიცია, მაშინ ჩემი დღევანდელი მედალოსნები პატარები იყვნენ. სხვათა შორის, თერთმეტივე პირველი კომპიუტერის მფლობელი გახდნენ. ეს იყო სენსაცია. როდესაც მე 11 ბავშვი ავიყვანე სცენაზე კომპიუტერის მისაღებად, ქალბატონმა ლია გიგაურმა ბრძანა: ეს არის რესპუ-ბლიკაში პირველი კლასი, სადაც ამდენი წარჩინებული მოსწავლე არის პირველი კომპიუტერის მფლობელი. რაიონიდან იყო სულ 15, აქედან 12 — ჩვენი სკოლიდან (11 ჩემი სადამრიგებლო და 1 პარალელური კლასიდან) 2 — მეოთხე სკოლიდან და 1 — სოფლის სკოლიდან.

**— ახლა რომელ კლასს უძღვებით?**

— ახლა ვუძღვები VI-I კლასს.

**— ე. ი. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქედან ექვს წელიწადში ისევ მედლ-ების მფლობელი იქნებით?**

— ვცდილობ და აქედან ვიწყებ, ვუყრი საფუძველს, მოტივაციას ვაძლევ ბა-ვშვებს, რომ სწავლა არის მათთვის მთავარი. ვეუბნები, თქვენ რომ ისწა-ვლით, ისეთს რომ მეტყვით, გაკვეთილს სულ სხვა სახით დამანახებთ და მე აღ-მომაჩენინებთ, რაზეც არ მიფიქრია, აი, მაშინ მიყვარხართ ყველანი, მაშინ მინდიხართ ყველანი, მაშინ მიხარია ის დღე. საბედნიეროდ, ასეთი დღეები ხშირია. ვუფიქრდები ყველაფერ ამას და, თურმე, რა სალი გონებისა არიან ბავშვები, ვიდრე ჩვენ.

**— მოდით, შევადაროთ ერთმანეთს თქვენი მედალოსნების მეექვსე და თქვენივე დღევანდელი მეექვსე კლასები.**

— იქაც იყვნენ საკმაოდ წარმატებულები, 15 წარჩინებული მყავდა მაშინ მეექვსე კლასში, ახლა ოცი ათოსანი მყავს, 20 ბავშვია წარმატებული, ყველა საგანში რომ ათი ჰყავს. ძალიან მოტივირებული არიან, ხალისიანი გაკვ-ეთილები აქვთ, მხოლოდ ქართულში კი არა, სხვა საგნებშიც. აი, ახლა შეიხედეთ კლასში, თეა ურუშაძეა იქ, ნახეთ, როგორ გაკვეთილს ატარებს. კვირას მათემატიკის ფესტივალზე მიჰყავს წარმატებული ბავშვები. სხვა მასწავლებლების გაკვეთილებიც გამორჩეულია. როგორც გითხარით, ჩემთვის მთავარი ადამიანური რესურსია, მე-თორმეტე კლასში ვინც იყო ჩემს ბავშვებთან, იგივე მასწავლებლები არიან მეექვსე კლასშიც. ჩვენ ვქმნით ერთ მთლიან რაღაცას ამ ბავშვე-ბისათვის. მეთორმეტე კლასში რომ იყვნენ, მაშინ ჩავატარე გაკვეთილი „45+5, ანუ ჩვენ გავფრინდებით“. იმ გაკვეთილის ეშხი ის იყო, რომ 45 წუთის განმავლობაში 5 მასწავლებელს უნდა ჩაეტარებინა გაკვეთილი. სიმბოლისტების თემაზე იყო და სხვადასხვა საგნის მასწავლებლებმა სასწაულად ჩაატარეს იგი. დარწმუნებული ვარ, იმ მეთორმეტეკლასელებს არ დაავიწყდებათ ეს გაკვეთილი.

**— როგორც პედაგოგი, როგორ უყურებთ განათლების დარგში ამ გაუთავებელ რეფორმებს?**

— ძალიან კარგია რეფორმა, მაგრამ შედეგი უნდა იყოს. აი, შედეგზე ორიენტირება იწყება რაღაც უცებ და უცებ მოდის მერე მეორე ისე, რომ ვერ ესწრება პირველი. კი, უნდა იყოს მზაობა ყველანაირად, მაგრამ არ ხდება ასე ყოველთვის. ყველაზე ბოლო ცვლილებაზე გეტყვით, კატის გამოცდები რომ ამოიღეს. მე, როგორც რიგითი პედაგოგი, კატის გამოცდებში გამოცდებს რომ ვხედავ, ეს არც სკოლას დააზარალებს და არც ბავშვებს, მაგრამ ატესტატს უნდა ჰქონდეს ფასი. დააბრუნონ უნდა ატესტატი. მისაღებ გამოცდებზე ერთნაირი ქულების შემთხვევაში უნდა ჩანდეს, ვინ არის უფრო წარმატებული და წარმატებულს უპირატესობა უნდა ჰქონდეს. ჩადონ ატესტატში ნიშნების ფურცელი, მოსწავლეც დაჯდება გაკვეთილზე. გუშინ იყო გაყღერებული, მე-12 კლასებში მოსწავლეები არ დადიან თურმე გაკვ-ეთილზე. ეს არ არის მხოლოდ სკოლის პრობლემა, ეს არის ძალიან ფართო პრობლემა, რომელიც დრომ მოიტანა. ჩვენ უნდა გვქონდეს რაღაც მექანიზმი, რომ მეთორმეტეკლასელი დავამაგროთ მერხზე, თუნდაც ატესტატის დაბრუნებით და მისი მნიშვნელობით.

**— თქვენი საუკეთესო მასწავლებელი ვინ იყო?**

— ჩემი საუკეთესო მასწავლებლები დიდებული ქალბატონები, მარგალიტა კუნჭულია და ანა ბერძენიშვილი იყვნენ. ანა ბერძენიშვილი იყო ჩემი მასწავლებელი სკოლაში და მერე კი, მასწავლებლის მასწავლებელი — მარგალიტა კუნჭულია. მე, როგორც მასწავლებელს, გზას მიკვალავდა მარგალიტა კუნჭულია. ამ ორ ადამიანს ვერავის შევადარებ. ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ ეს უბადლო პედაგოგები მასწავლიდნენ.

**— ქალბატონო იზო, ვიცი, რომ მალე იუბილე გექნებათ და ექსკლუზივს გთხოვთ აქედანვე.**

— სიამოვნებით, მაგრამ მანამდე ოქროს ქორწილი მექნება და აუცილებლად დაგპატიჟებთ.

**— ეგ რა კარგი რამე მითხარით! დიდი მადლობა. კიდევ ერთხელ გილოცავთ გაზაფხულის შემობრძან-ებას. ჩვენი საუბრის დასასრულს, ჩვენი გაზეთის საშუალებით, თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, მიულოცოთ მანდილოსნებს დღესასწაულები.**

— ოოო, ქალებო, ჩემო ლამაზებო, ჩემო მშვენიერებო, გილოცავთ, გაზაფხული მოვიდა! ქალი მშვენიერობს, ქალი ლაღობს, ქალში რაღაც ზის ანდამატივით მიმზიდველი, ღმერთმა გიძლიეროთ ეს მიზიდულობის ძალა, მშვენიერების ხიბლი. გილოცავთ, გაიხარეთ, იყვავილეთ, ისე ლამაზად, როგორც ყვავილობს გაზაფხულზე აფეთქებული ატმის რტო.

ესაუბრა

**თემურ მარშანიშვილი.**

# „ჩემი ცოლის დაქალები“ გურიაში



პოპულარული სერიალი **„ჩემი ცოლის დაქალები“**, რომელიც ყველა თაობისათვის არის საინტერესო და საზოგადოებისათვის აქტუალურ პრობლემატიკას ეხება, ახალ სეზონს გურიიდან იწყებს.

შესაბამისად, სერიალის ძირითად მსახიობებთან ერთად კინოეკრანზე ოზურგეთის თეატრის მსახიობებსა და ოზურგეთელებს ვიხილავთ. თეატრში ქასთინგი რეჟისორმა ეკა მჟავანაძემ და მისმა ასისტენტმა ფორმულა „კრეატივში“ ქასტინგის რეჟისორმა ნოშრე ფელინმა ჩაატარეს.

„დაქალებმა“ გურიაში „ფელინიც“ ჩამოიყვანა და ჩვენი ინტერვიუც აქედან დავიწყეთ:

— ნოშრე ფელინი ჩემი ფსევდონიმია, მე გახლავართ პაატა ქვლივიძე. ამ მაგარ ქალაქში ვაკეთებ მსახიობების ფოტოქასტინგს. გურიის სცენებში ახალი სახეები გურულები იქნებიან არა მარტო მსახიობები, სტუდიის ბავშვები, მოსახლეობა.

რამდენიმე სერია იქნება გურიის თემატიკა, შემოდის ახალი ხაზი. სიუჟეტი არის ძალიან მაგარი, რომელსაც ავტორი განავითარებს შემდგომ სერიებში. ვფიქრობ, ძალიან კარგად წავა გურიის თემატიკა. დიდი მადლობა კარგი მასპინძლობისა და დახვედრისათვის. მეც მსახიობი ვარ და სულ ვამბობ, რომ რეგიონის თეატრი უნდა იყოს დაფასებული, ეს თეატრი ემსახურება საყვარელ საქმეს, თაობებს ზრდიან. მიხარია, რომ „ჩემი ცოლის დაქალები“ ყოველთვის აძლევს წარმოჩენის საშუალებას რეგიონის თეატრებს... იყო მეგრელების, იმერეთის, კახეთის თემა, ახლა გურიაში ვმუშაობთ.

**— ბატონო ნოშრე, ფოტოქასთინგის შედეგად ალბათ ბაზა იქმნება?**

— კი, არსებობს „ეკაქასთ“ ბაზა, რომელიც არ არის მარტო „ფორმულა კრეატივისათვის“, სხვადასხვა რეკლამისათვის, ფილმისათვის მუშაობს, ხშირად გვჭირდება არაცნობადი სახე, ფოტოს ვარჩევთ. იწერება სინჯი. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ბაზაში იყოს ოზურგეთის თეატრის მსახიობები. ეს ახალი შესაძლებლობებია.

სანამ ფელინთან ვსაუბრობდი ქალბატონმა ეკამ ვიდეო ქასთინგები დაასრულა.

**ეკა მჟავანაძე,** რეჟისორი: „ - როგორც მოგეხსენებათ, ვარ სერიალის დაწყების დღიდან მისი ქასთინგის რეჟისორი. უკვე მეთხუთმეტე სეზონს ვიწყებთ და ყველა სეზონის დასაწყისი ზეიმია მაყურებლისთვისაც და ჩვენთვისაც და მოულოდნელობებით სავსე. ახალი სეზონი გურიით იწყება. თითქმის ყველა კუთხე შემოვიყვანეთ სერიალში თავისი ტრადიციებით, კილოთ. გურია არაჩვეულებრივი, ულამაზესი მხარეა საქართველოსი, უნიჭიერესი ხალხით.

ყოველთვის ჩვენი გუნდის პრინციპია ვათამაშოთ ამა თუ იმ კუთხის ადამიანები, ზუსტი ტიპაჟები, რომ სიმართლე არ დაიკარგოს. მთამბეჭდავია რომ ხედავენ მეზობელს, ოჯახის წევრს. სერიალის სიცოცხლისუნარიანობაც ამან განაპირობა

**— გურიას გურიიდან დაგვანახებთ თუ გურულები ჩამოდიან თბილისში?**

— ჯერჯერობით გურიაში გვექნება გადაღებები, რომელიმე სოფელში. იქნება ერთი ოჯახი თავისი კოლორიტით, მეზობლებით, ბევრი ნიუანსით.

ქასთინგი ჯერ არ დაგვიმთავრებია, მოსახლეობაში შეიძლება წავაწყდეთ საინტერესო სახეს. ძალიან ნიჭიერი, კოლორიტული ფიგურებია, ვცდილობთ ყველა გავანაწილოთ და არავის გული არ დაწყდეს. შემდეგ უკვე მათზეა დამოკიდებული როგორ განვითარდება, ხდება ხოლმე, რომ ერთი დღით შემ-ოსული პერსონაჟი დიდხანს რჩება ეკრანზე.

**— ძალიან საინტერესო მომენტზე შეწყვიტეთ წინა სეზონი. ამ ინტერესს პასუხობთ ახალი სეზონის პირველი სერიიდან?**

— მთლიანად სეზონი არ იწერება. ვიცით რამდენიმე სერია, შემიძლია ვთქვა, რომ დასასრული რაც იყო იმის დასაწყისი იქნება.

**— თქვენი დამოკიდებულება როგორია თქვენი პერსონაჟის, დედამთილის მიმართ?**

— ველოდი საზოგადოების მრავალნაირ გამოხმაურებას, ძალიან დიდი სიხარული მომიტანა ამ ბოლო სერიებმა. ჩემი პერსონაჟი ძალიან მიძინებული იყო, არ იყო განვითარებული და იყო მესამე ხარისხოვანი. როცა ეს მოხდა, ჩემდაუნებურად ძალიან დიდი გამოძახილი იყო საზოგადოებიდან, რამაც დიდი სტიმული მომცა და სიხარული მაჩუქა. ძალიან დიდი სიყვარული მაგრძნობინა საზოგადოებამ.

**— ალბათ მოგიხდათ დაფიქრება მსგავს სიტუაციაში როგორ მოიქცეოდით?**

— მეც ორი ბიჭის დედა ვარ. ალბათ ასეთი მკაცრი არ ვიქნებოდი. ყველა დედას უნდა შვილს ჰქონდეს ნორმალური, წესიერი ოჯახი. არ მიყვარს სხვის ცხოვრებაში ჩარევა, თუნდაც შვილი იყოს.

მალე ოზურგეთის ერთი სოფელი, სავარაუდოდ, ლიხაური „დაქალების“ მასპინძელი გახდება.

**ლია კილაძე**

# დანერგე მომავალის" ბენეფიციარებს ტრენინგი ჩაუტარდათ

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამაში „დანერგე მომავალი“ მონაწილეების გადამზადება დაიწყო. პროექტის ფარ-გლებში, კენკროვანი ქვეკომპონენტის ბენეფიციარებისთვის ჩატარდა ტრენინგი კენკროვნების მოვლა-მოყვანის შესახებ.

ბენეფიციარებს უფასო კურსი სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა ჩაუტარეს. ასევე ჩატარდა პრაქტ-იკული სწავლება ლურჯი მოცვის პლანტაციაში. ტრენინგის საბოლაო ეტაპზე გაიმართება ტესტირება და წარმატებით გავლის შემდეგ ბენეფიციარები პროექტის შემდეგ ეტაპზე გადავლენ.

შეხვედრის მონაწილეებს გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია მიესალმა და მათ წარმატებები უსურვა.

კენკროვნების პროგრამაში მონაწილეობა განახლდება 2019 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით და პროგრამა ითვალისწინებს კენკროვნების გაშენებას 0.15 დან 0.5 ჰა ფართობზე, რომლის ნერგების, სარწყავი სისტემის და ბაღისთვის ტექნიკური მასალების ხარჯების 100 პროცენტს სახელმწიფო სრულად დააფინანსებს.

შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურიის რეგიონული სამმართველოს ორგანიზებით გაიმართა.



# ლუკა ბენდელიანი –რესპუბლიკურ ტურნირში გამარჯვებული



22-24 თებერვალს თერჯოლაში გაიმართა 15 - წლამდელთა შორის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში.

სპორტულ ასპარეზობაში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოჭიდავეები მონაწილეობდნენ, სადაც ოზურგეთელმა ფალავნებმა კარგი შედეგი აჩვენეს.

ტურნირზე 38 კგ. წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ოზურგეთელმა, ლუკა ბენდელიანმა. მეორე ადგილზე, 85 კგ. წონით კატეგორიაში, საბა ბოლქვაძე გავიდა. ხოლო 85 კგ. წონით კატეგორიაში მესამეზე გავიდნენ — ნიკა ღლონტი და საბა სირაძე. რესპუბლიკური ტურნირისათვის მოჭიდავეები მწვრთნელებმა: კახაბერ აბაშიძემ , თენგიზ ლაბაძემ, გურამ მაჭარაშვილმა და ბექა ჩოფლიანმა მოამზადეს.

## სულთათანა

უახლოესი მეგობრები: გელა შაფაქიძე, ოთარ ნაცვალაძე, გიორგი ნაკაიძე, ვახტანგ ვაშალომიძე და დავით გაგუა იუწყებიან ძვირფასი მეგობრის **გიორგი (გია) ხარაიშვილის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ ლომაძე ოჯახით თანაუგრძნობს კუკური ინწკირველს მეუღლის **ნანული ჟელიძის** გარდაცვალების გამო.

ამირან ვაშალომიძე ოჯახით თანაუგრძნობს კუკური ინწკირველს მეუღლის **ნანული ჟელიძის** გარდაცვალების გამო.

რეზო მუჯირი ოჯახით თანაუგრძნობს კუკური ინწკირველს მეუღლის **ნანული ჟელიძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს კუკური ინწკირველს მეუღლის **ნანული ჟელიძის** გარდაცვალების გამო.

## იყიდება

**იყიდება ალუმინის ავზი 800-ლიტრიანი, თავისი 7-მეტრიანი კოშკურით; „ლებიოტკის“ ტროსი 10-მეტრიანი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599 45 31 46.**

# სკანვორდი



| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | პირველი პირის ნაცვალსახელი | | | ღვიძლის ანთება | | | | | შეიარაღებული დაპირისპირება | | |
| | | | | | | | | | | | | რიცხვი | | | | |
| | | | | | | ერთგვარი შრიფტი | | | ზამშე | | | შევარდნაძის სოფელი | | ლაშქრობაში ნაშოვნი ნადავლი | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | სიდიდით მესამე კუნძული |
| | | | | | | | | | | | | ბუხრის თავი | | | | ნივთების ლაგარიის მაგიდა |
| | | | | | | | | | | | | | | | | მცირე სკამ-ლოგინი |
| | | | | | | | | არაბული სახელმწიფო | | | | შიკრიკი | | | | ალტაცება |
| | | | | | | | გურიის გუბერნატორი | მდინარისპირა დაბლობი | | | | მე-18 ასო | | | | |
| | საპორტო ქალაქი ბულგარეთში | | | | კავშირი | | ო. თაქთაქიშვილის ოპერა | | | | | | | თემი, ერი | | |
| | | | | | მამაკაცის სახელი | | | | | | | სვანური სიმღერა | | ძაღლის სახელი | | |
| | | | სოფელი გარდაბნის მუნიც-ში | | | | | პოეტური განმეორება | | | | | | | | |
| | გერმანელი მწერალი | | მათემატიკური მრუდი | | | | | | | | ცხენის ერთგვარი სიარული | | | | გაზაფხულის ყვავილი | |
| | ქვეყანა ბრიტანეთში | | | | | | | | ისტორიული მხარე საქართველოში | | | | | | | |

## № 7-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ლევან უჩანეიშვილი; მცირე ზომის ლიტერატურული ნაწარმოები — ესე; კარავი — სევანი; მშრალის ანტიპოდი — სველი; თანამდებობა, წოდება — ჩინი; უღელტეხილი — მამისონი; ფილიპინების დედაქალაქი — მანილა; გულშემატკივარი — ფანი; სოფელი აბაშის მუნიციპალიტეტში — ნოსირი; ტოლსტოის გმირი ქალი — ანა; უხილავი — უჩინმაჩინი; კოპიტი — იფანი; მე-13 ასობგერა — ნ; მე მეგრულად — მა; დიახ — კი; ყოფილი განათლების მინისტრი — ლომაია; ანტიკური ლიტერატურული ჟანრი — იამბიკო; კიდობნის ამგები — ნოე; მწერალი სასამართლოში — ლოგოგრაფი; სწრაფად რომ ტრიალებს — ჯარა; წყალქვეშა კლდე — რიფი; ფერთა მრავალფეროვნება — პალიტრა; წყნეთელი გმირი ქალი — მაია; ქალის სახელი — ნუნუ; ჩამონათვალი — სია; ბგერის წერითი ნიშანი — ასო; მამაკაცის ტანსაცმელი — ფრაკი; პატარა მდინარე ციმბირში — ნია; მეორე კოსმონავტი — შეპარდი; წამებული არაბი — აბო; ტბა თბილისში — ლისი; სახელმწიფოებრივი მოვალეობა — მისია; ბელორუსი მწერალი — ბიადულია; დროის საზომი — საათი; ჩანგალი — ყაჯალი.

# „ მიყურადებით ნასწავლი სიმღერები“- მიხეილ შავიშვილი

**„მიშა შავიშვილმა თავისი კრიმანჭულით დაასრულა მეოცე საუკუნე“ - ანზორ ერქომაიშვილი.**

**„კრიმანჭული მართლაც გვირგვინია ადამიანის მუსიკალურ ხმათა და ამის გამოც შეერქვა „მსოფლიოს მერვე საოცრება“- იური სიხარულიძე.**

ქართული სიმღერებისა და კრიმანჭულის უბადლო შემსრულებელი, ლოტბარი **მიშა (მიხეილ შავიშვილი)** დაიბადა 1920 წლის 15 ოქტომბერს ლიხაურის თემის სოფელ ჭანიეთში. მისი პირველი მასწავლებელი დედა ვერა ვაშ-ალომიძე მეჩონგურე და მოკრიმანჭულე იყო. დედმამიშვილებიც მომღერლები იყვნენ, განსაკუთრებით მისი და ჟენია შავიშვილი, რომელიც შემდგომში ცნობილი მოკრიმანჭულე გახდა.

მიშა შავიშვილის ბიოგრაფიიდან: „11 წლის ვიყავი ალბათ, შესაძლოა უფრო პატარაც, წამიყვანეს ლიხაურის „ალეგროზე“. იქ ბევრი ცნობილი მომღერალი ვნახე და მოვუსმინე: ლადიკო ერქომაიშვილი, ნესტორ კონტრიძე, გრიგოლ მჟავანაძე, ლადიკო სურგულაძე, ლაზარე ლომჯარია. სწორედ ამ ლაზარე ლომჯარიასთან დადიოდნენ სიმღერის შესასწავლად და თითო სიმღერაში ორ ფუთ სიმინდს იხდიდნენ. მე და ჩემი მეგობარი ლადიკო ლომჯარია მივიპარებოდით და გარედან ვუსმენდით მეცადინეობებს... ჰოდა, ამ „ალეგროზე“ მეც ვიმღერე, კრიმანჭული ვთქვი, ლადიკო ერქომაიშვილმა აღფრთოვანებულმა მითხრა - „ბიძიკო, შეძლება რომ ჰქონდეს მამაშენს, შენ კონსერვატორიაში უნდა ისწავლო“, გაოცებულმა ლაზარემ კი მითხრა: „ბიჭო საიდან იცი შენ ეს სიმღერაო“. მე, ლაზარე ბიძ-ია, თქვენ, რომ სიმღერას ასწავლიდით გარედან გიყურეთ და ისე ვისწავლე-მეთქი“ „გრიგოლ, შენ ბაღანას ხუთი თავი სიმღერა დაუსწრებლად უსწავლია ათი ფუთი სიმინდი გაქვს ჩემთვის მოსაცემიო.“ეხუმრა ლაზარე ლომჯარიამ მამაჩემს“. („საუბარი მიშაშავიშვილთან“, ოზურგეთის გაზეთი, 2001 წელი).

ლიხაურის „ალეგროზე“გაიცნო მიშა შავიშვილმა მომღერალი მღვდელი ნესტორ კონტრიძე და გახდა მისი მოწაფე. მეცხრე კლ-ასის მოსწავლე უკვე ხელმძღვა-ნელობდა სკოლის გუნდს, შემდეგ კი სოფლის გუნდს ედგა სათავეში. 15 წლის გახდა ვარლამ სიმონ-იშვილის მოსწავლე და 1936-1937 წლებში მღეროდა მასთან სახელმწიფო ეთნოგრაფიულ გუ-ნდში. სკოლის დამთავრების-თანვე ჩააბარა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკუ-ლტეტზე. სწავლის პერიოდში აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტ-მოკრიმანჭულეა ,ანსამბლის ლოტბარი არტემ ერქომაიშვილი იყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. 1945 წელს ჯარიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო მასწავლებლად და სკოლის მომღერალთა გუნდს ჩაუდგა სათავეში .ამ გუნდმა, რაიონულ დაათვალიერებაზე ორჯ-ერ პირველი ადგილი დაიკავა. შემდგომ წლებში მიშა შავიშვილი ხელმძღვანელობდა ნასაკირალის, მახარაძის რაისამომხმარებლო კოოპერაციის თვითმოქმედ ანსამბლებს.

1957 წელს საქართველოს სსრ პირველ რესპუბლიკურ ფესტივალზე, როგორც კრიმანჭულის ბრწყინვალე შემსრულებელმა, ლაურეატის წოდება მიიღო. იმავე წელს პირველ საკავშირო ფესტივალზე პირველი ადგილი,ლაურეატობა და მეექვსე მსოფლიო ფესტივალზე მონაწილეობის უფლება დაიმსახურა, რასაც მოჰყვა ის, რომ მისმა ხმამ ყოფილ საბჭოთა კავშირის გარეთაც გააღწია. ამ ფესტივალზე მიხეილ შავი-შვილის გასაოცარმა კრიმანჭულმა აღტაცებაში მოიყვანა ჟიურის წევრები. ზოგიერთ უცხოელს ეჭვიც კი დაებადა თურმე, ამ კაცს ყელში, ხომ არაფერი აქვს მოწყობილიო.

მსოფლიო ფესტივალზე მიხეილ შავიშვილმა 28 ქვეყნის წარმომადგენელს აწვნია ქართული ხალხური სიმღერის შნო, სიტკბო და ლაზათი, ამ წარმატებით მიხეილ შავიშვილმა მსოფლიო ლაურეატის წოდება და საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელი მიიღო.



მარცხნიდან მარჯვნივ: ჰამლეტ დოლიძე, თეიმურაზ ქილიფთარი, ბადრი ინგოროყვა, ნოდარ ქარცივაძე, ზაურ ბოლქვაძე, ამირან ბაბილოძე, აკაკი ბეშიტაიშვილი, მიხეილ შავიშვილი (ხელმძღვანელი).

მიხეილ შავიშვილმა მონაწილეობა მიიღო 1957 წელს მოსკოვში გამართული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე. მისმა კრიმანჭულმა მოხიბლა მაშინდელი პარტიისა და მთავრობის მეთაურები. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა პრეზიდუმმა დააჯილდოვა მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

მიხეილ შავიშვილი მონაწილეობდა ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე გამართულ საბჭოთა მუსიკოსთა კვირეულში.

დიდია მიხეილ შავიშვილის როლი ახალგაზრდა მომღერალთა კადრების აღზრდის საქმეში. მის სახელთანაა დაკავშირებული მახარაძის კულტურის სახლთან არსებული ვოკალურ ანსამბლ „შვიდკაცას“ შექმნა 1957 წელს.

1958 წელს, თბილისში მე-9 რესპუბპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატების მოპოვებისათვის ანსამბლი დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

1959 წელს ანსამბლმა გაიმარჯვა ვოკალური ანსამბლების რესპუბლიკურ კონკურსში.

1960 წელს „შვლდკაცა“ ერთი თვით გაემგზავრა მოსკოვში და მონაწილეობდა ქართული მელოდიების კონკურსში.

1961 წელს საქართველოს რესპუსპუბლიკურ დათვალიერებაზე „შვიდკაცამ“ პირველი ადგილი აიღო.

1962 წელს „შვიდკაცა“ მიიწვიეს ლატვიაში,

1963 წელს ანსამბლმა მოსკოვში, სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე სრული ანშლაგით ჩაატარა კონცერტები.

1964 წელს იმყოფებოდა გასტროლებზე ესტონეთში.

1967 წელს ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვში გამართულ ქართული კულტურის დღეებში, საიდანაც ლაურეატის წოდებით და ოქროს მედლებით დაბრუნდა.

1968 წელს მოსკოვში ისევ გამოფენაზე მართავს კონცერტებს და გამოფენის მედლით ჯილდოვდება.

1970 წელს წელს -იტალიაში, სიცილიასა და საფრა-ნგეთში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები. ხალხური ანსამბლებიდან შეირჩა ოზურგეთის ანსამბლი „შვიდკაცა“. 1971 წელს ანსამბლი საკავშირო ფესტივალის ოქროს პრიზის მფლობელი გახდა.

1972 წელს ყოფილი საბჭოა კავშირის კულტურის დღეები გაიმართა ინგლისსა და შოტ-ლანდიაში კონცერტები შედგა 22 ქალაქში. მონაწილეობდა „შვიდკაცა“. მაშინ მუსიკათმცოდნეები წერდნენ : „გაგვაოცეს ქართველებმა, მღეროდა 10 კაცი და გეგონებოდა, 100 კაცი მღერისო. 1975 წელს „შვიდკაცა“ მოსკოვში გამართულ კულტურის დღეებში მონაწილეობდა და ოქროს მედალი დაიმსახურა. 1977 წელს ქალაქ ბაქოში საკავშირო ფესტივალზე სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს.

1978 წელს „შვიდკაცა“,ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად ,მიემგზავრება ესპანეთში ხალხური შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალზე.

1981 წელს ხალხური სიმღერების აღდგენისა და შენარჩუნების, მისი პოპულარიზაციის საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისათვის ანსამბლ „შვიდკაცას“ მიენიჭა სახალხო ანსამბლის წო-დება, ხელმძღვანელ მიხეილ შავი-შვილს - საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

1882 წელს „შვიდკაცა“ მიიწვიეს მოსკოვში ცენტრალურ ტელევიზიაში ყოფილი საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის საზეიმო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად.

1985 წელს ანსამბლმა, ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ჰოლანდიაში გამართულ ფესტივალზე.

1987 წელს ანსამბლ “ შვიდკაცას“ გადაუხადეს დაარსებიდან 30 წლისთავი.

ანსამბლ „შვიდკაცას“ პირველი თაობის წევრები იყვნენ: **მიხეილ შავიშვილი, (ხელმძღვანელი), აკაკი ბეშიტაშვილი, ამირან ბაბილოძე, ვალერიან ქავთარაძე, ნოდარ ქარცივაძე, გური ურუშაძე, ანტონ** თავამაიშვილი, ვაჟა რუსიეშვილი.

შემდგომ წლებში ანსამბლს შეემატნენ: **ალექსანდრე გოგავა, ბადრი ინგოროყვა ტრისტან სიხარულიძე, ილია ჯინჭარაძე, თეიმურაზ ქილიფთარი, ჰამლეტ დოლიძე, ილია ინწკირველი, ავთანდილ ნაცვალაძე, გელა ცელაძე, ზურაბ გადახაბაძე, სერგო ქარჩილაძე, ზაურ ბოლქვაძე, ზაურ ჯან-იაშვილი, ნევრო ოსეფაშვილი, შოთა დოლიძე, რეზო მახარაძე. ზურაბ ერქომაიშვილი, მერაბ მგელაძე, ამირან გოლიაძე, ლევან გოლიაძე, თენგიზ გოლიაძე, მერაბ კალანდაძე, ზაზა მამალაძე, დათო ჩხაიძე, გივი ქუტიძე.**

ანსამბლმა შეისწავლა 100 მდე ქართული სიმღერა და საგალობელი, გამოცემული აქვს ერთი დისკი 18 გურული სიმღერით.

1996 წლიდან მიხეილ შავიშვილის საქმეს ღირსეულად უძღვება მისი „მემკვიდრე“ **ტრისტან სიხარულიძე.** ანსამბლში მღერიან: **ამირან გოლიაძე(ლოტბარი), ლევან ნინიძე, ილია ინწკირველი, გელა ლომჯარია თენგიზ გოლიაძე, ალექსანდრე ბურჭულაძე, კობა მეფარიშვილი, დათო ქავჟარაძე, ვალერი კალანდაძე, მამუკა სირაძე, ნიკა გოგოტიშვილი, ლაშა გოგოტიშვილი.**

წლეულს ანსამბლ „შვიდკაცას“ უსრულდება 62 წელი. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტ-ილია მაისში დაგეგმილია ანსამლ „შვიდკაცას“ ვარსკლავის გახსნა ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში.

მივუბრუნდეთ ისევ მიხეილ შავიშვილის მოღვაწეობას. უნდა აღინიშნოს მისი განსაკუთრებელი როლი ახალგაზრდა მომღერალთა კადრების აღზრდის საქმეში, მის სახელთანაა დაკავშირებული მახარაძის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა(ბიჭუნათა) ანსამბლი „კრიმანჭული“. მისი გარდაცვალების შემდეგ ანსამბლს ტრისტან სიხარულიძე ხელმძღვანელობდა, ამჟამად კი ნიჭიერი ლოტბარი ლაშა ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობს.

მიხეილ შავიშვილი წლების განმავლობაში ემსახურებოდა მუსიკალური ხელოვნების შესწავლასა და მხატვრული თვითმ-ოქმედების განვითარების საქმეს. მან აღადგინა, შექმნა და დაამუშავა ორმოცდაათამდე სიმღერა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ფოლკლორული მუშაობა. მის მიერ შეკრებილია ხალხური ზეპირსიტყვიერების ბევრი საინტერესო ნიმუში, მის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ხალხში ფართოდაა გავრცელებული საკუთარი ლექსები და სიმღერები: „ნაკადული“„სახუმარო“, „საკოლმეურნეო შაირები“„სიმღერა მეგობრობაზე“, „ნესტორ კალანდარიშვილი“, „დედის წერილი“, „განშორებისას“, „სალამური“, „სისონა დარჩია“, „გურია წინათ და ახლა“, ილია ჭავჭავაძის „ტყემ მოისხა ფოთოლი“ და სხვები მიხეილ შავიშვილის დამუშავებული სიმღერით გაფორმდა კინოფილმი „პალიასტომის“ტბა“ .მანვე მუსიკალურად გა-აფორმა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“.

საგულისხმოა ერთ პასაჟი. ბატონი მიშა შავიშვილის ძმისშვილი ცარო შავიშვილი იგონებს: „ბიძაჩემის შექმნილია სიმღერა და ტექსტი „სისონა დარჩია“, ცნობილი იყო მხოლოდ ხალხური სამი სტროფი, შემდეგ მან სრულყო ეს ტექსტი, ამ სამ სტროფში ცნობილი იყო სახელი და გვარი მოღალატე პიროვნებისა, რომელიც მან ამოიღო, არ შეიძლება ,უხერხულია, გვარის სირცხვილიაო“. ეს ტექსტი ახლა ასეთია: „ერთი ვი-ნმე ვაჟბატონი (უდა იყოს, სახელს ვწერ მხოლოდ მიქელა ა...ძე) მარჯვეა ღალატობაზე 32 სტრაჟნიკი მან დამახვედრა ბოგაზე......

1961 წელს მიხეილ შავიშვილს მიაკუთვნეს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, 1983 წელს - საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. მასზე წერდნენ: „მიხეილ შავიშ-ვილი ფლობს უიშვიათეს მაღალ ხმას, კრიმანჭულს.

ღვაწლმოსილი ხელოვანი გარდაიცვალა 1999 წელს, დაკრძალულია ოზურგეთში. წელს სრულდება მისი გარდაცვალებიდან 20 წლისთავი, რასაც ალბათ აღნიშნავენ და სათანადო პატივს მიაგებენ მისი კოლეგები და ოზ-ურგეთის საზოგადოება.

და ბოლოს, მისი მოწაფე ტრისტან სიხარულიძე: „მიშა შავიშვილმა ჩემს ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ დიდი აგური დადო,რისთვისაც ულრმესი მადლობა მას“.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

# „ზამთრის ვერნისაჟი“ – VIII გამოფენა-კონკურსი



**ალიონი.** გასულ ხუთშაბათს, 28 აგვისტოს, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა გურიის მხარის სამხატვრო სკოლებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების VIII გამოფენა კონკურსის „ზამთრის ვერნისაჟის“ პრეზენტაცია მოაწყო.

ღონისძიების წამყვანის, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძის** თქმით, წლევანდელი „ზამთრის ვერნისაჟი“ გაცილებით მასშტაბური აღმოჩნდა, 500-ზე მეტი ნამუშევარი შემოვიდა, ორ-ორი – სამხატვრო სკოლების ბავშვებიდან და თითო – საჯარო სკოლების მოსწავლეებიდან. ქალბატონმა ლიამ ისაუბრა გამოფენა-კონკურსის მრავალფეროვნებაზეც, გამოფენაში მონაწილე ნორჩი მხატვრების საინტერესო კომპოზიციებზე, აქტუალურ თემებსა და მხატვრულ ღირებულებებზე.

„ზამთრის ვერნისაჟის“ მონაწილეებს მიესალმნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე** და გურიის გუბერნატორის მოადგილე **გია ებრალიძე.**

კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა ნომინაციებში გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

**სამხატვრო სკოლების მოსწავლეთათვის დაწესებულ ნომინაციებში გამარჯვებულები:**

– **საუკეთესო კომპოზიცია** – **ლანა ღლონტი,** ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა;

– **საუკეთესო თემა** – **ლუკა ჭანკვეტაძე,** – ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა;

– **საუკეთესო ფერწერა** – **ესე გურგენიძე,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

– **საუკეთესო გრაფიკა** – **ნოდარ ძნელაძე,** ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა;

– **საუკეთესო პლასტიკა** – **საბა მელუა,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

– **საუკეთესო დეკორაცია** – **ნოდარ თავართქილაძე,** ჩოხატაურის სამხატვრო სკოლა.

**საჯარო სკოლის მოსწავლეთ-ათვის დაწესებულ ნომინაციებში გამარჯვებულები:**

– **საუკეთესო კომპოზიცია** – **მარიამ სირაძე,** წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა;

– **საუკეთესო ნამუშევარი** – **გიორგი ქურიძე,** სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა;

– **საუკეთესო ხელნაკეთობა** – **ლიზი მიქატაძე,** ქალაქ ოზურგეთის №1 საჯარო სკოლა;

– **ნორჩი შემოქმედი** – **ლანა ხარაბაძე,** დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლა;

– **ნიჭიერი** – **ნინო ლომჯარია,** ქალაქ ოზურგეთის №5 საჯარო სკოლა.

**ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის** რჩეული გახდა **ნიკოლოზ ლესელიძე,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

**საქართველოს კულტურის ფონდის გურიის ფილიალის** რჩეული – **სალომე ჩიტაიშვილი;**

**მ. ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის** რჩეული – **ლაშა ბერიძე,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლა

**ბიზნესმენ თენგო შარაშიძის** რჩეულები – **ლუკა ჭანკვეტაძე,** ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა, **ნოდარ მოლარიშვილი** – ბოხვაურის საჯარო სკოლა, **თორნიკე დანელია,** კონჭკათის საჯარო სკოლა, რომელთაც ბიზნესმენის წარმომადგენლისგან გადაეცათ ფულადი საჩუქრები;

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის** რჩეული – **ლაზარე ერქომაიშვილი;**

**შპს ისიდორე მეფარიშვილი აფთიაქის** რჩეული – **საბა დარჩია,** წმ. გაბრ-იელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა;

**ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის** რჩეული – **თამთა მეფარიშვილი,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

**საქართველოს მხატვართა კავშირის გურიის ფილიალის** რჩეულები – **გიორგი ღლონტი,** წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა და **მარიამ ყალიჩავა,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

**შპს ავერსი-ფარმას ოზურგეთის ფილიალის** რჩეული – **ლუკა ჯულაყიძე,** წმ.



გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა;

**სააქციო საზოგადოება „იმედის“** რჩეული – **თორნიკე ხომერიკი,** შემოქმედის საჯარო სკოლა;

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის** რჩეულები:

– **ბარბარე უნგიაძე,** მე-5 საჯარო სკოლა;

– **ირიშკა ქავთარაძე,** მე-4 საჯარო სკოლა;

– **ია ანდღულაძე,** მე-3 საჯარო სკოლა;

– **ლანა პაკსაძე,** ბახვის საჯარო სკოლა;

– **ნატა ვაშაყმაძე** – ლიხაურის საჯარო სკოლა;

– **საბა ქარჩავა** – მე-4 საჯარო სკოლა;

– **ლიზი მახარაძე** - წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა.

**გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის** რჩეულები:

– ***მარიამ ჩხაიძე,*** ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა;

– **საბა მელუა,** ოზურგეთის სამხატვრო სკოლა;

– **ბარბარე გიორგაძე** – ჩოხატაურის სამრევლო სკოლა.

გამოფენა-კონკურსის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა „ზამთრის ვერნისაჟის“ სიგელით.

მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორმა, მხატვარმა **ავთანდილ თავართქილაძემ** ნორჩ მხატვრებს მიულოცა წარმატებები, მადლობა გადაუხადა მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, ორგანიზაციებს, სპონსორებს „ზამთრის ვერნისაჟის“ მაღალ დონეზე ჩატარებაში შეტანილი წვლილისათვის.



## გაზაფხულივით ლამაზო ჩვენო მანდილოსნებო!

ქართველი დედა უფლისა და ოჯახის სიყვარულით ცხოვრობდა, ქართველ კაცში სჯულიც, ქრისტიანობა და სამშობლო დედასთან არის თანასწორი, ღვთის მადლით, წყარო ქართველთა უკვდავებისა ქართლის დედაა. უფლის ერთგულად გამწევი, ოჯახის ფეხზე დამყენებელი, შვილების, შვილიშვილების აღმზრდელი, მუხლჩაუხრელი დედავ, გვინდა მარად გვყავდე. ყველანი ძალიან მიყვარხართ, ჩვენო ძვირფასებო, ღმერთს ვთხოვ თქვენს დიდებას, გეზარდოთ მრავრი შვილი ერთიანი, მედნიერი საქართველოსათვის.

**ვასილ ჩიგოგიძე,**
საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩეჯისორი

(ლ)



## სააქციო საზოგადოება „იმედის“ დირექცია ულოცავს „იმედის“ თანამშრომელ ქალბატონებს, ყველა ქალს დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს!

(ლ)



## ძვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს დედისა და ქალთა დღეებს! გისურვებთ ჯანმრთელობას, თქვენი ოჯახების გაძლიერებას, სიყვარულსა და ბედნიერებას.

(ლ)



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 4 მარტი, ორშაბათი | 5 მარტი, სამშაბათი | 6 მარტი, ოთხშაბათი | 7 მარტი, ხუთშაბათი | 8 მარტი, პარასკევი | 9 მარტი, შაბათი | 10 მარტი, კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე 0+8 | მზე, ღრუბელი +3+11 | მზე, ღრუბელი +4+13 | მცირე წვიმა, +4+12 | მზე, ღრუბელი, +7+10 | მზე, ღრუბელი, +8+12 | ღრუბელი, +6+12 |